2015 წელი, 25 ივნისი - 1 ივლისი
ფასი 1 ლარი 50 თეთრი

ახალი განათლება

№24 (698) გამოდის 1998 წლიდან
www.axaliganatleba.ge

ახალგაზრდობის წლები სავსე უნდა იყოს სხვადასხვა სახის ექსპერიმენტით

რუბრიკის „ქართველი სტუდენტები უცხოეთში“ სტუმარია
იოსებ ჟორჟოლიანი
ვაშინგტონისა და ჯეფერსონის კოლეჯის სტუდენტი, საქართველოს ახალგაზრდა ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში

გვერდი 6

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

ერთიანი ეროვნული გამოცდები 2015

ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების განრიგი:

2-3 ივლისი	(პირველი სესია 8:00 სთ, მეორე სესია 14:00 სთ) - ქართული ენა და ლიტერატურა;
6-7 ივლისი	(პირველი სესია 8:00 სთ, მეორე სესია 14:00 სთ) - ზოგადი უნარები;
8 ივლისი	(პირველი სესია 8:00 სთ, მეორე სესია 14:00 სთ) - ინგლისური ენა;
9 ივლისი	(პირველი სესია 8:00 სთ) - ინგლისური ენა;
9 ივლისი	(პირველი სესია 8:00 სთ) - გერმანული ენა;
10 ივლისი	(პირველი სესია 8:00 სთ) - რუსული ენა;
10 ივლისი	(პირველი სესია 8:00 სთ) - ფრანგული ენა;
13 ივლისი	(პირველი სესია 8:00 სთ, მეორე სესია 14:00 სთ) - გეოგრაფია;
14 ივლისი	(პირველი სესია 8:00 სთ, მეორე სესია 14:00 სთ) - ისტორია;
15 ივლისი	(პირველი სესია 8:00 სთ, მეორე სესია 15:00 სთ) - მათემატიკა;
16 ივლისი	(პირველი სესია 8:00 სთ) - ფიზიკა;
17 ივლისი	(პირველი სესია 8:00 სთ) - ლიტერატურა;
20 ივლისი	(პირველი სესია 8:00 სთ) - სამოქალაქო განათლება;
21 ივლისი	(პირველი სესია 8:00 სთ) - ბიოლოგია;
21 ივლისი	(პირველი სესია 8:00 სთ) - სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება;
22 ივლისი	(პირველი სესია 8:00 სთ) - ქიმია;

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი გისურვებთ წარმატებას!
www.naec.ge

ინფორმაცია

სპეციალური განცხადება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **თამარ სანიკიძემ** საგანგებო განცხადება გააკეთა და იმ შეღავათებზე ისაუბრა, რომელიც 2015 წლის 13 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ სტუდენტებსა და მოსწავლეებს შეეხებათ. კერძოდ:

• 2015 წლის 13 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაღუპულთა ოჯახის წევრ და უსახლკაროდ დარჩენილ სტუდენტთა 2015-2016 სასწავლო წლის სწავლის გადასახადს სახელმწიფო დაფარავს. სტუდენტებში იგულისხმებიან ის აბიტურიენტები, რომლებიც წელს ჩაირიცხებიან აკრედიტირებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე. სწავლის გადასახადში იგულისხმება 2015-2016 აკადემიური წლის საფასური, სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის მაქსიმალური ოდენობა. სამინისტროს უმაღლესი განათლების დეპარტამენტი შეიმუშავებს პროგრამას და წარუდგენს მთავრობას დასამტკიცებლად უახლოეს მთავრობის სხდომაზე.

• მოსწავლეებს, რომელთაც 13 ივნისის სტიქიის შედეგად სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში მიღებული კომპიუტერები და სახელმძღვანელოები დაუზიანდათ, სამინისტრო ახალ ნივთებს გადასცემს.

• მანდატურის სამსახურთან არსებული ფსიქოლოგიური ცენტრი ყველა მოსწავლეს და მათ მშობლებს, საჭიროების შემთხვევაში, მომსახურებას უფასოდ გაუწევს.

• სამინისტრო ასევე იმუშავებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, რათა მოხდეს ჰიდროლოგიური ლაბორატორიისა და მიმდებარე ტერიტორიების შეფასება და სპეციალისტების დასკვნების შესაბამისად დაიგეგმოს ლაბორატორიის აღდგენითი სამუშაოები.

სასკოლო თეატრალური ფესტივალი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით, ვაჟა-ფშაველას გარდაცვალებიდან 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით, სასკოლო თეატრალური ფესტივალი გაიმართა. ფესტივალის ფარგლებში, საქართველოს საჯარო და კერძო სკოლებს საშუალება მიეცათ, ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებების მიხედვით სპექტაკლები მოემზადებინათ.

23 ივნისს, სამინისტროში, კომისიის წევრებმა, კიდევ ერთხელ ერთობლივად განიხილეს შერჩეული სპექტაკლები. შეხვედრაზე კომისიამ, ფრაგმენტულად, განმეორებით ნახა სპექტაკლები და ერთობლივი მსჯელობის შედეგად, I, II, III ადგილების მფლობელებიი და ჟიურის მიერ დაწესებულ ნომინაციაში გამარჯვებული სპექტაკლები გამოავლინა.

– ბათუმის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სკოლა – I ადგილი;

– სსიპ-ქალაქ ხობის ხობის N1 საჯარო სკოლა – II ადგილი;

– სსიპ-ქალაქ ბორჯომის N1 საჯარო სკოლა – III ადგილი;

– სსიპ-ქალაქ ფოთის N4 საჯარო სკოლა – ჟიურის ნომინაცია.

გარდა საპრიზო ადგილებისა, ჟიურიმ 10 სპექტაკლი გამოავლინა, რომელთა წარმომდგენი სკოლები წამახალისებელ სიგელებს მიიღებენ.

ფესტივალის მიზანი იყო ვაჟა-ფშაველას ღვაწლის პოპულარიზაცია, მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების გამოვლენა და განვითარება. ფესტივალი ორ ეტაპად ჩატარდა: პირველ ეტაპზე, საგანმანათლებლო რესურსცენტრებმა შეარჩიეს არაუმეტეს 5 სპექტაკლისა, რომლებიც საჯაროდ დაიდგა მუნიციპალიტეტის დონეზე და მათ შორის 1 საუკეთესო სპექტაკლის ვიდეოჩანაწერი სამინისტროში გაიგზავნა.

სამინისტროში შექმნილმა სპეციალურმა კომისიამ, რომელიც შედგება როგორც სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლების, ისე პროფესიონალი და ცნობადი სახეებისგან (**გოგი დოლიძე**, **ანი მიროტაძე**, **ერეკლე ტრიპოლსკი**, **მიხო მოსულიშვილი**, **მზია არაბული**, **გოდერძი შარაშია**, **ლელა რაზიკაშვილი**), დასკვნით ეტაპზე, 32 სპექტაკლი განიხილა. ჟიურის წევრებს წინასწარ მიეწოდათ აღნიშნული სპექტაკლების ვიდეოჩანაწერები და, პირველადი შერჩევის შედეგად, 17 სპექტაკლი გამოვლინდა.

ლია გიგაური, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე: *„ვაჟა-ფშაველას გარდაცვლების 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დაგეგმა თეატრალური სპექტაკლების ფესტივალი ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებებზე. მეორე ეტაპზე წარმოდგენილი იყო 32 ნაწარმოები, დღეს ჟიურიმ დაასრულა მუშაობა და მათგან საუკეთესოები შეარჩია. წარმატებული სპექტაკლები ნაჩვენები იქნება კოტე მარჯანიშვილის თეატრში, 26 ივნისს 6 საათზე. დასწრება თავისუფალია და მოვუწოდებთ საქართველოს სკოლებს, განსაკუთრებით კი თბილისის სკოლების მოსწავლეებს, დაესწრონ თანატოლების მიერ მომზადებულ სპექტაკლებს. იქვე გაიმართება გამარჯვებულთა დაჯილდოება.“*

ლელა რაზიკაშვილი, ვაჟა-ფშაველას ფონდის თავმჯდომარე: *„იდეა – ჩატარებულიყო ფესტივალი „ვაჟა სკოლის სცენაზე“, რომელიც დავამთხვიეთ ვაჟა-ფშაველას გარდაცვალებიდან 100 წლისთავს, ჩაფიქრებული იყო, როგორც ერთი დიდი საგანმანათლებლო აქცია. ამას, რა თქმა უნდა, ერთი კერძო სტრუქტურა ან ერთი ფონდი (ამ შემთხვევაში, ვაჟა-ფშაველას ფონდს წარმოვადგენ) ვერ ჩაატარებდა. აუცილებელი იყო პარტნიორი და აუცილებელი იყო, რომ ეს პარტნიორი ყოფილიყო განათლების სამინისტრო. ძალიან დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ქალბატონ ლიას და განათლების სამინისტროს, მინისტრს, მთელ კოლექტივს, რომელმაც ბევრი იშრომა. მათ აიტაცეს ჩვენი იდეა და ეს აქცია, რომელიც მთლიანად ენთუზიაზმზე დაყრდნობით ჩატარდა, წარმატებით შედგა.“*

გოდერძი შარაშია, ჟიურის წევრი: *„მე, როგორც ჟიურის წევრი, ბედნიერი ვარ და მიხარია, რომ ამ პროექტში მივიღე მონაწილეობა. მიმაჩნია, რომ ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტია, თუნდაც განათლების სამინისტროსთვის, სკოლებისთვის, პედაგოგებისთვის, მასწავლებლებისთვის, მოსწავლეებისთვის და მათი მშობლებისთვის. პროექტზე მუშაობის პერიოდში ყველა ერთად სწავლობდა ვაჟას.*

იყო შემთხვევები, როცა ჟიურის წევრები ვერ ვთანხმდებოდით, რომელი რაიონი რომელს სჯობდა და რომელი სკოლა – რომელს. ვღელავდი, ხომ არ ვიყავი სუბიექტური და ხომ არ გადავამეტე შეფასებისას.მეორე მხრივ, ძალიან კარგი იყო, როცა ასე ვბჭობდით და საბოლოოდ დავადგინეთ გამარჯვებულები. შემიძლია გულზე ხელი დავიდო და ვთქვა, რომ ნამდვილად ღირსეულად გადანაწილდა ადგილები. ამ კონკურსში დამარცხებული არავინ არის, იმიტომ რომ, ყველამ მივიღეთ განათლება და ის, ვინც განათლება მიიღო, რა თქმა უნდა, გამარჯვებულია.“

სიკეთის აქცია

თბილისის №54 საჯარო სკოლის ინიციატივით, გაიმართა „სიკეთის აქცია“, რომელიც 13 ივნისის ტრაგედიას მიეძღვნა. ამ დღეს, სკოლის მოსწავლეებმა საქველმოქმედო სპექტაკლი „სტუმარ-მასპინძელი“ წარმოადგინეს და ასე გამოხატეს თანადგომა უსახლკაროდ დარჩენილი მათი 5 თანასკოლელის და სპორტის მასწავლებლის, აფხაზეთიდან დევნილი **ვენერა მეფარიძის** ოჯახის მიმართ. ამავე დღეს, სკოლაში მოსწავლეთა მიერ შესრულებული თექის ნამუშევრები გამოიფინა.

ღონისძიებას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე დაესწრო. მოწვეულ სტუმართა შორის იყვნენ სკოლის პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლები. „სიკეთის აქციის“ მონაწილეებმა, დაზარალებული მოსწავლეების მიმართ, მორალურთან ერთად, გარკვეული მატერიალური მხარდაჭერაც გამოხატეს.

თამარ სანიკიძე: *„იმ სამწუხარო მოვლენების გამო, ყველა უწყება, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ჩართული იყო როგორც სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოებში, ასევე იმ თანადგომაში, რომელიც ასე ძალიან სჭირდებოდათ დაზარალებულ ადამიანებს. თქვენ იცით, რომ ჩვენი პროფესიული სასწავლებლები – მშენებლები, კულინარები, ხელოვნებათმცოდნეები – ყველანი ჩართული იყვნენ სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოებში, ასევე მომსახურების ნაწილშიც და, მუდმივ რეჟიმში, იმ ადამიანებთან იმყოფებიან, ვისაც დახმარება სჭირდება.*

„სიკეთის აქცია“ არაჩვეულებრივი ჟესტია და იმ თანადგომის გამოძახილი, რომელსაც მთელი საქართველო უცხადებს სტიქიით დაზარალებულებს. დღევანდელი წარმოდგენა, რომელიც 54-ე სკოლის მოსწავლეებმა მოამზადეს, იმავდროულად, საქველმოქმედო აქტია. აქ დამსწრე საზოგადოებას შესაძლებლობა მოგვეცემა, გამოვხატოთ ჩვენი შეხედულება და დამოკიდებულება მომხდართან დაკავშირებით, ასევე საუბარი გვექნება გარკვეულ კონტრიბუციაზეც.

ზოგადად, რაც შეეხება შემდგომში, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, დაზარალებული ოჯახების დახმარებას, განსაკუთრებით სტუდენტებისა და მოსწავლეების მიმართ, რა თქმა უნდა, შემუშავებული გვაქვს კონკრეტული გეგმა. ამ დღეების განმავლობაში, ბავშვებს, და არა მარტო მათ, მშობლებსაც სჭირდებოდათ ფსიქოლოგიური დახმარება. ჩვენი ფსიქოლოგიური ცენტრები აქტიურად, ადგილზე გასვლით, მუშაობდნენ. რამდენიმე ბავშვი დღემდე საჭიროებს მათ დახმარებას და გადიან სარეაბილიტაციო კურსს. მოსწავლეებს, სტიქიით დაზარალებული ოჯახების წარმომადგენლებს, აუცილებლად შევთავაზებთ სხვადახვა ბანაკებში ჩართვას. ეს მათთვის საინტერესოც იქნება და მომავალშიც გამოადგებათ.

რაც შეეხება დაზარალებულ სტუდენტებს, მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ აბიტურიენტები, რომლებიც წელს სტუდენტები გახდებიან და უკვე მოქმედი სტუდენტებიც სახელმწიფოსგან მიიღებენ ფინანსურ დახმარებას, კერძოდ, დავუფარავთ სწავლის საფასურს. განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებული გარკვეული მიდგომები, ვფიქრობ ძალიან დაეხმარება მათ ამ მძიმე დღეებში.“

ქეთევან ჩოქური, თბილისის №54 საჯარო სკოლის დირექტორი: *„გვქონდა სურვილი, რაღაც გაგვეკეთებინა ამ ბავშვებისთვის, შეგვემსუბუქებინა ეს უმძიმესი პერიოდი. მინდა ეს დღე უფრო ემოციურად დატვირთული იყოს და დარჩეს მათ მეხსიერებაში, როგორც ერთი ლამაზი დღე. ვფიქრობ, რომ სპექტაკლის ნახვით ესთეტიკური სიამოვნების მიღებასთან ერთად, ჩვენი მეგობრები, პარტნიორები, განათლების სამინისტრო გარკვეულ მატერიალურ დახმარებასაც გაუწევს მათ.“*

გურამ მუხაჯანაშვილი, „იუ-ჯითი“-ს ვიცე-პრეზიდენტი: *„მოხარულები ვართ, დღევანდელ „სიკეთის აქციაში“ რომ მივიღეთ მონაწილეობა. რა თქმა უნდა, ვიზიარებთ იმ დიდ მწუხარებას, რაც საქართველოს თავს დაატყდა, მაგრამ, ამავე დროს, ამაყები ვართ იმით, რომ მომავალი თაობა მოდის ძალიან კარგი, გაბედული, აზრიანი. მათი შემხედვარე, იმედი გვაქვს, რომ ყველაფერი კარგად იქნება.“*

ინფორმაცია

ერთიანი ეროვნული გამოცდები – 2015

რამდენიმე დღეში ერთიანი ეროვნული გამოცდები იწყება, საგამოცდო ტესტები უკვე საქართველოშია. 2015 წლის გამოცდებისთვის ტესტები კონფიდენციალური დოკუმენტაციის ბეჭდვაში აღიარებულმა ავტორიტეტმა, ბრიტანულმა კომპანია „სტივენ ოსტინმა“ დაბეჭდა. საგამოცდო ცენტრებს ტესტები უშუალოდ გამოცდის დღეს მიეწოდება. დალუქული ყუთების ტრანსპორტირების უსაფრთხოებას უზრუნველყოფენ შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურები.

ერთიანი ეროვნული გამოცდები 2015-ის ფარგლებში, ქვეყნის მასშტაბით, სულ 19 საგამოცდო ცენტრი გაიხსნება ქალაქებში: ბათუმი, ფოთი, ზუგდიდი, ოზურგეთი, ქუთაისი, ახალციხე, გორი, თბილისი, რუსთავი, თელავი და ხულო.

ბოლო მონაცემებით, წლევანდელი ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის 40 000-ზე მეტი აბიტურიენტი დარეგისტრირდა, სტუდენტთა საგრანტო კონკურსისათვის – 4 000-ზე მეტი აპლიკანტი, საერთო სამაგისტრო გამოცდისათვის კი – 12 500-ზე მეტი მსურველი.

ერთიან ეროვნულ გამოცდებს, 2 ივლისს, ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდა გახსნის და ყველაზე ბოლოს, 22 ივლისს, ქიმიის გამოცდა ჩატარდება.

მაგისტრანტობის მსურველებისთვის გამოცდები 9 ივლისს დაიწყება, სტუდენტთა საგრანტო კონკურსი კი 20 ივლისს ჩატარდება.

წლევანდელ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე 400-ზე მეტი განცხადებაა შესული იმ აბიტურიენტებისგან, რომლებსაც გამოცდებზე სპეციალური საჭიროებები სჭირდებათ. წინა წლეთან შედარებით ნაკლები განცხადებაა, თუმცა, როგორც გაირკვა, წინა წელს, ძალიან ბევრ აპლიკანტს შეცდომით ჰქონდა მონიშნული, რომ სპეციალური პირობები სჭირდებოდა. ამიტომ შარშან ნაკლები განცხადება დაკმაყოფილდა. წელს კი განცხადება ნაკლებია, მაგრამ უფრო რეალური.

მაია მიმინოშვილი, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი: *„წლების განმავლობაში შევიძინეთ გამოცდილება, როგორ მოვიქცეთ სპეციალური საჭიროების მქონე აბიტურიენტების შემთხვევაში. სამწუხაროდ, იმატა იმ აპლიკანტების რიცხვმა, რომელთაც სპეციალური საგამოცდო პირობები სჭირდებათ. მათ, რეგისტრაციისას, სპეციალურ ველში უნდა მიუთითონ, თუ რა სახის საჭიროებაა მათთვის აუცილებელი. შემდეგ, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, უნდა წარმოადგინონ ფორმა 100. სპეციალური კომისია მუშაობს იმაზე, ვის რა შემთხვევაში და როგორ გავუწიოთ დახმარება.*

თუ აპლიკანტს გადაადგილების პრობლემა აქვს, ბუნებრივია, მას საგამოცდო ცენტრამდე მისვლაშიც კი ვეხმარებით და საგანგებოდ საგამოცდო სექტორი პირველ სართულზე გვაქვს განთავსებული. ვცდილობთ, საგამოცდო ცენტრებისთვის სკოლის შენობები ამ ნიშნითაც შევარჩიოთ. მათი გადანაწილებაც პრობლემების გათვალისწინებით ხდება, მაგალითად, თბილისის შემთხვევაში, გამოცდებს ვატარებთ ტექნიკური უნივერსიტეტის მე-6 და თსუ-ს მაღლივ კორპუსებში. სპეციალური საჭიროების მქონე აპლიკანტს, რა თქმა უნდა, ტექნიკური უნივერსიტეტის შენობაში ვაგზავნით. მაგრამ, ნუ წარმოვიდგენთ, რომ მხოლოდ გადაადგილების პრობლემის მქონე აპლიკანტები გვყავს. არიან მხედველობის პრობლემის მქონე აბიტურიენტები, რომლებსაც სპეციალური შრიფტი სჭირდებათ, ასევე გვყავს მოტორული დარღვევების მქონე აპლიკანტები, რომლებსაც ჩვეულებრივი სახით გამოცდის ჩაბარება არ შეუძლიათ. ასეთ შემთხვევაში, მათთვისაც სათანადო პირობებს ვქმნით. მათ სპეციალური მეთვალყურე ეხმარება – კარნახს იწერს. ამ პროცესს ვიდეოთვალი აფიქსირებს.

გასულ წელს გვყავდა აპლიკანტი, რომელსაც არც ერთი კიდური არ ჰქონდა (საბედნიეროდ, წელს ასეთი არ გვყავს) და, ბუნებრივია, მასაც შევუქმენით შესაბამისი პირობები. არც ერთი წელი არ გასულა ისე, რომ სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის საგანგებო პირობების შექმნა არ დაგვჭირვებოდა.

სამწუხარო რეალობაა, რომ ჩვენ შეგვიძლია უსინათლოს ყველა პირობა შევუქმნათ – ბრაილის შრიფტით ვუბეჭდავთ ან სპეციალური კომპიუტერული პროგრამით ვემსახურებით და ამ კატეგორიის ბევრი წარმატებული აბიტურიენტიც გვყავს, მაგრამ მათ უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის სათანადო პირობები არ აქვთ, სპეციალური შრიფტით დაბეჭდილი სახელმძღვანელოების არარსებობის გამო.

გვყავს აბიტურიენტობის მსურველი კიდევ ერთი კატეგორია – სმენადაქვეითებულები. კარგა ხანია, ვითხოვთ, რომ სმენადაქვეითებულებს ჟესტების ენა შეასწავლონ, რომ ჩვენც უზრუნველვყოთ მათი საჭიროებები.“

აბიტურიენტებმა რეგისტრაციის გავლისას უნდა მონიშნონ სპეციალური ველი, თუკი სჭირდებათ გამოცდაზე სპეციალური პირობები და მიუთითონ, რა პრობლემები აქვთ. სპეციალური საჭიროებები სჭირდებათ სხვადასხვა სახის დარღვევების მქონე პირებს, მაგალითად, როდესაც აქვთ მოტორული ფუნქციის დარღვევა, მხედველობის, სმენის პრობლემები. ასეთი საჭიროებების შესახებ აპლიკანტები ვალდებული იყვნენ 20 აპრილამდე წარედგინათ სამედიცინო ცნობა.

განაცხადებს სპეციალური კომისია განიხილავს. წელს 400-ზე მეტი განცხადებიდან 42 არ დაკმაყოფილდა. *„ზოგს იმიტომ არ დავუკმაყოფილეთ, რომ, მაგალითად, აქვს დიაბეტი და ესაჭიროება ინექციის გაკეთება. თუ გამოცდისას არ დასჭირდა ინექცია, დრო არ ემატება. გამოცდის პერიოდში თუ გვყავს ინფექციური დაავადების მქონე აბიტურიენტები, მაგალითად, აქვთ ჩუტყვავილა – ასეთ დროს ცალკე სხდებიან აბიტურიენტები. ბრაილის შრიფტის გამოყენებით წელს ერთი აბიტურიენტი ჩააბარებს, 3 უსინათლო კი, სავარაუდოდ – ხმოვანი პროგრამით. ასევე, რამდენიმე აბიტურიენტისთვის მოგვიწევს გაზრდილი შრიფტით ტექსტის მიწოდება. რეგიონებშიც არიან აბიტურიენტები, რომლებსაც სპეციალური პირობები სჭირდებათ გამოცდაზე. მაგალითად, ბათუმში 2 აბიტურიენტი გვყავს, რომლებსაც მოკარნახე დასჭირდება. მათ ზედა კიდურების მოტორული ფუნქცია აქვთ დარღვეული. ნათქვამს მეთვალყურე ჩაიწერს. ამას ყველაფერს კამერა აფიქსირებს და ხმაც იწერება. ყველაფერს ვითვალისწინებთ და ვცდილობთ, აბიტურიენტებს მაქსიმალურად შესაბამისი გარემო შევუქმნათ.“* – *ამბობს ლოჯისტიკის ჯგუფის კოორდინატორი* ***მაია გაბუნია***.

მისივე თქმით, აბიტურიენტებისთვის ფიზიკური გარემოც ადაპტირებულია და სარეზერვო სექტორები, უმეტესად, პირველ სართულზეა განთავსებული. ასევე, იმ სკოლებში, სადაც გამოცდები ტარდება, ყველგან არის პანდუსები.

სპეციალურ პირობებში მსჯავრდებულებიც იგულისხმება. წელს ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობას 13 მსჯავრდებული მიიღებს, აქედან 12 ბაკალავრიატის პირველ კურსზე ჩასაბარებლად იბრძოლებს, ერთი კი სამაგისტრო გამოცდას ჩააბარებს. პატიმარი აბიტურიენტები გამოცდაში მონაწილეობას, დანარჩენ აბიტურიენტებთან ერთად, ჩვეულებრივ საგამოცდო ცენტრებში მიიღებენ და მათ გამოცდის ადგილამდე სპეციალური ბადრაგი მიიყვანს. გამოცდების დასრულების შემდეგ კი, თუკი ისინი სტუდენტები გახდებიან, სასწავლო პროცესში მონაწილეობის წესს და ფორმას სასჯელაღსრულების სამინისტრო დაარეგულირებს.

წელს გაცილებით მეტი აბიტურიენტი დარეგისტრირდა, ვიდრე შარშან, დაახლოებით, 5 ათასით მეტი. ადგილების რაოდენობაც საკმაოდ მომატებულია. ერთიანი ეროვნული გამოცდების პირველ წელს ადგილების რაოდენობა ოდნავ აჭარბებდა 15 ათასს. წლევანდელი მონაცემებით კი, აპლიკანტთა რაოდენობა 40 ათასზე მეტია, ხოლო საკონკურსო ადგილების რაოდენობა 42 ათასს აჭარბებს. თუმცა, ეს, რა თქმა უნდა, არ გულისხმობს იმას, რომ ყველა ადგილი შეივსება ან ყველა აბიტურიენტი გახდება სტუდენტი. პირველ რიგში, მათ კომპეტენციის ზღვარი უნდა გადალახონ საგამოცდო საგნებში და მაშინ დიდი შანსი ეძლევათ, გახდნენ სტუდენტები.

გისურვებთ წარმატებებს!

პედაგოგთა საგნობრივი გამოცდები

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ცნობით, საგნობრივი გამოცდის ჩაბარების სურვილი, 65 ათასი მოქმედი პედაგოგიდან, 17 ათასზე მეტმაგამოთქვა.

„ტესტებში რადიკალური ცვლილებები არ არის. შეიცვალა ტესტირების წონა და დატვირთვა, მაგრამ თვითონ ტესტის სპეციფიკა არ შეცვლილა. სერტიფიცირების პროცესი აქამდე ორ კომპონენტს მოიცავდა: საგნობრივი ცოდნის ტესტი და პროფესიული უნარების ტესტი. ამის შემდეგ პედაგოგი ხდებოდა სერტიფიცირებული. არ მოწმდებოდა, როგორ მუშაობდა პედაგოგი პრაქტიკაში. ახლა ეს სქემა გაფართოვდა და სწორედ ამ ნაწილში, უფრო დიდი ყურადღება ეთმობა უშუალოდ პრაქტიკაში როგორ მუშაობს მასწავლებელი. გამოცდა მხოლოდ ერთ-ერთი კომპონენტი იქნება და არა ერთადერთი.” – აცხადებს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილე **ივა მინდაძე**.

2015 წელს საგნობრივ გამოცდებს მხოლოდ მოქმედი მასწავლებლები ჩააბარებენ. როგორც ცნობილია, **მასწავლებლების საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის მიხედვით**, მოქმედი პედაგოგისათვის სავალდებულო ხდება საგნობრივი გამოცდის ჩაბარება (ამ გამოცდის ჩაბარება არ მოეთხოვებათ სერტიფიცირებულ პედაგოგებს).

საგნის გამოცდა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ შემდეგ საგნებში ტარდება: ქართული ენა და ლიტერატურა (I-VI კლასები); მათემატიკა (I-VI კლასები); ბუნებისმეტყველება (I-VI კლასები); ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა და ბუნებისმეტყველება (I-IV კლასები); ქართული ენა და ლიტერატურა (VII-XII კლასები); ქართული, როგორც მეორე ენა (I-XII კლასები); მათემატიკა (VII-XII კლასები); ისტორია (VII-XII კლასები); გეოგრაფია (VII-XI კლასები); სამოქალაქო განათლება; ფიზიკა (VIII-XI კლასები); ქიმია (VIII-XI კლასები); ბიოლოგია (VIII-XI კლასები); ინგლისური; გერმანული; ფრანგული; რუსული; ესთეტიკური აღზრდის საგნები: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება; ინფორმაციული და საკომუნიკაციო.

მასწავლებლებისათვის გამოცდები 15 ივლისიდან დაიწყება. თარიღი, გამოცდაზე გასვლის დრო, საგამოცდო ცენტრი და ცენტრის მისამართი მითითებული იქნება საგამოცდო ბარათზე, რომლის აღებას პედაგოგი რეგისტრაციის დროს მითითებულ ადგილას შეძლებს.

გამოცდების განრიგი

15 ივლისი

ფიზიკა (VII-XII);
ბიოლოგია (VII-XII);
სამოქალაქო განათლება (VII-XII);
სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება.

16 ივლისი

ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა და ბუნებისმეტყველება (I-IV);
ქართული ენა და ლიტერატურა (I-VI);
მათემატიკა (I-VI);
ბუნებისმეტყველება (I-VI).

17 ივლისი

ინგლისური ენა (I-XII) – წერითი ნაწილი;
რუსული ენა (I-XII) – წერითი ნაწილი;
გერმანული ენა (I- XII) – წერითი ნაწილი;
ფრანგული ენა (I-XII) – წერითი ნაწილი;
ქართული, როგორც მეორე ენა (I-XII) – წერითი ნაწილი.

18 ივლისი

ინგლისური ენა (I-XII) – პრაქტიკული ნაწილი;
რუსული ენა (I-XII) – პრაქტიკული ნაწილი;
გერმანული ენა (I- XII) – პრაქტიკული ნაწილი;
ფრანგული ენა (I-XII) – პრაქტიკული ნაწილი;
ქართული, როგორც მეორე ენა (I-XII) – პრაქტიკული ნაწილი;
ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები – წერითი ნაწილი.

19 ივლისი

ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები – პრაქტიკული ნაწილი.

20 ივლისი

მათემატიკა (VII-XII);
ისტორია (VII-XII);
გეოგრაფია (VII-XII);
ქართული ენა და ლიტერატურა (VII-XII).

21 ივლისი

ქიმია (VII-XII).

პედაგოგთა დასახმარებლად

ირაკლი ხვედელიძე

ქართული ენა

პროცესზე ორიენტირებული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილი: ზღაპრის პორტფოლიო

1. შესავალი: პორტფოლიოს წარმოების ორი გზა

მოსწავლეთა პორტფოლიოს წარმოების ორი გზა არსებობს: ა) მასწავლებელი სემესტრის განმავლობაში აგროვებს მოსწავლეთა საუკეთესო ნამუშევრებს, რომლებიც სხვადასხვა კომპეტენციის შეძენას ადასტურებს; ბ) პორტფოლიო ინტეგრირებულია გაკვეთილზე. ამგვარად, პროცესზე ორიენტირებული სწავლება მთავარი მეთოდოლოგიური საფუძველი ხდება.

პორტფოლიოს წარმოების პირველი მოდელი, თავისთავად, ცუდი არაა, რადგან სასწავლო პროცესის კარგად ორგანიზებასა და ხშირ დიაგნოსტირებას გულისხმობს, მაგრამ იგი გამორიცხავს მოსწავლეთა მხრიდან საკუთარი შემეცნების პროცესზე რეფლექსიას, რაც ასე მნიშვნელოვანია თვალსაჩინო პროგრესის მისაღწევად. რაც შეეხება პორტფოლიოს, როგორც სწავლების ახალ მეთოდოლოგიურ საფუძველს, მას განსაკუთრებული საგანმანათლებლო ღირებულება აქვს.

უნდა აღინიშნოს, რომ სწავლებისადმი ამგვარი მიდგომა ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილს ერთმნიშვნელოვნად შედეგიანს ხდის. როგორც წესი, ქართულის გაკვეთილი გულისხმობდა მასწავლებლის მიერ ახალი საკითხის ახსნას (იქნებოდა ეს ლიტერატურულ კომპეტენციასა თუ წერით უნარებთან დაკავშირებული), ხოლო მოსწავლეს ევალებოდა ერთჯერადად და მეყსეულად სრულყოფილი საშინაო დავალების შესრულება. სასწავლო პროცესში პორტფოლიოს წარმოების მეორე მოდელის დანერგვა უზრუნველყოფს, რომ სწავლება პროცესზე ორიენტირებული გახდეს. ასეთ შემთხვევაში, საბოლოო შედეგი მიიღწევა მოსწავლის მიერ საკუთარ შემეცნებით პროცესზე სისტემატური რეფლექსიით, შეცდომათა ანალიზისა და ახალი მცდელობების შედეგად. პორტფოლიოს ამ მოდელისათვის რეფლექსია წამყვანი შემეცნებითი აქტივობა ხდება.

ენისა და ლიტერატურის ტრადიციულ გაკვეთილებს კიდევ ერთი ხარვეზი ახლდა: ლიტერატურული და წერითი კომპეტენციების განვითარება ხდებოდა მოსწავლეთათვის არაბუნებრივ გარემოში: დავალება, რომელიც მოსწავლეს ეძლეოდა, მის ინტერესზე ნაკლებად იყო მორგებული და მას მოსწავლე მხოლოდ ვალდებულების გამო ასრულებდა. პორტფოლიოს მოდელი, რომელიც ჩვენ გვსურს შემოგთავაზოთ, აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის მცდელობაცაა. იგი მე-8 კლასში განხორციელდა. წერითი უნარების განსავითარებლად საბაზო საფეხურის მოსწავლეთათვის, საინტერესო ჟანრი – ზღაპარი – ავირჩიეთ. პორტფოლიოს წარმოებისას მოსწავლეთა მაღალი ინტერესი და ჩართულობა გარანტია აღმოჩნდა იმისა, რომ ბუნებრივ წერით გარემოში მოსწავლეებს სხვადასხვა ღირებული წერილობითი ტექსტი შეექმნათ.

2.1. ზღაპრის პორტფოლიოს მიზნები

ზღაპრის პორტფოლიოს ძირითადი მიზანია წერითი უნარების გამომუშავება, რაც, თავის მხრივ, შემდეგ კომპონენტებს მოიცავს:

- ტექსტის ნათლად ორგანიზება;
- გრამატიკული ნორმების დაცვა;
- ამა თუ იმ ტიპის ტექსტისათვის შესატყვისი ინფორმაციის სრულყოფილად გადმოცემა;
- წერის პროცესის დამოუკიდებლად ორგანიზება: ტექსტის შესაქმნელად გეგმის შედგენა, შექმნილი ტექსტის გადამუშავება, განხორციელებულ აქტივობებზე რეფლექსია.

2.2. პორტფოლიოს ფარგლებში განსახორციელებელი დავალებების თანმიმდევრობა

პორტფოლიოზე მუშაობა იწყება მოსწავლეთათვის ძირითადი მიზნების გაცნობით და მუშაობის ზოგადი პრინციპების კლასთან ერთად განსაზღვრით. ამავე ეტაპზე სასურველია, ეს მიზნები და მუშაობის წესები გავაცნოთ კოლეგებსაც, რომლებთანაც პერიოდულად მიღებული შედეგები უნდა განვიხილოთ.

როგორც უკვე აღინიშნა, ამ პორტფოლიოს ფარგლებში დაგეგმილია მოსწავლეთათვის ბუნებრივ წერით გარემოში წერითი უნარების განვითარება, რასაც ზღაპრული სამყაროსადმი მოსწავლეთა განსაკუთრებული ინტერესი ქმნის. გარდა ამისა, პორტფოლიოში ჩასადები ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წერილობითი ტექსტი მოსწავლეთა მიერ შექმნილი ზღაპრებია. შესაბამისად, პირველი აქტივობები უკავშირდება, ერთი მხრივ, მოსწავლეთათვის ზღაპრის მახასიათებლების გაცნობას და მეორე მხრივ, მოსწავლეთა მიერ დაზუსტებული მახასიათებლების მოძებნას ტექსტში. ამ თვალსაზრისით, მოსწავლეები მინიმუმ ორ ზღაპარს ამუშავებენ. საამისოდ ისინი იყენებენ ორგრაფიან ცხრილებს. ცხრილში ერთ მხარეს წერენ კონკრეტულ მახასიათებელს, მეორე სვეტში კი შესატყვის ინფორმაციას ტექსტიდან. მაგალითად, ასე:

ზღაპარში მოქმედება ვითარდება უჩვეულო ადგილას.	ზღაპარ „ჰენზელსა და გრეტელში“ ასეთი სივრცეა ტყე, მას უჩვეულოს ხდის ის გარემოება, რომ იქ ტკბილეულისაგან დამზადებული სახლი დგას და გარდა ამისა, დედაბერი ცხოვრობს.
გმირი იღებს დავალებას, რომელსაც საკუთარი მოხერხებულობით ან სხვათა დახმარებით ართმევს თავს.	

ამ სახით შესრულებული დავალებები იდება პორტფოლიოში.

ახალი ზღაპრის შესაქმნელად ძალიან მნიშვნელოვანია ამ ჟანრის ტექსტების ლექსიკური თავისებურებების გათვალისწინება. ენობრივი მხარე ერთ-ერთი მთავარი ჟანრობრივი მახასიათებელია. ამ ნიშნით მოსწავლეები ამუშავებენ მინიმუმ ოთხ ზღაპარს. თითოეული ზღაპრიდან ისინი საინტერესო უჩვეულო ლექსიკას იწერენ. იმისათვის, რომ ეს სამუშაო საინტერესოდ გაფორმდეს, მოსწავლეებს მიეცემათ ინფორმაციის გაცხრილვის სხვადასხვა ვიზუალური ვარიანტი, მათ შორის ეს შეიძლება იყოს ერთგვარი საცერი, რომელზეც სიტყვები „დაიყრება“, ქვემოთ კი მხოლოდ უჩვეულო, საინტერესო ლექსიკა „ჩამოცვივდება“.



პირში ეცა დაუტატანა გააჟრჟოლა
შიმშილით კუჭი უხმებოდათ სახე გაუბრწყინდა
გამკინავი ხმა საღ-სალამათი გულს შემოეყარა
ეჩიჩინებოდა თუნთულა პირწმინდად

მას შემდეგ, რაც მოსწავლეები ზღაპრის მახასიათებლებს დააზუსტებენ და უჩვეულო ლექსიკას ამოიწერენ, მასწავლებელი მათ გადასცემს **კითხვის პასპორტს,** რომელიც ზღაპრის ამოწერილ მახასიათებლებსა და „საცრებთან“ ერთად პორტფოლიოში ჩაიდება.

კითხვის პასპორტის ნიმუში

გვარი, სახელი	კლასი

კითხვის პასპორტი

ოთხი ზღაპრის წაკითხვის დამადასტურებელი

ზღაპრის დამუშავების თარიღი	დამუშავებული ზღაპრის სახელწოდება

შემდეგ ეტაპზე განხილული ზღაპრებიდან მოსწავლეები ირჩევენ ერთ ან რამდენიმე ზღაპარს, რომლებთან მიმართებითაც სხვადასხვა წერილობით ტექსტს ქმნიან. ეს ტექსტებია:

- ერთ-ერთი ფიქტიური ტურისტული სააგენტოს მიერ მომზადებული სარეკლამო ბუკლეტი;
- სამოტივაციო წერილი ამა თუ იმ ზღაპრულ სამყაროში ცხოვრების უფლების მოსაპოვებლად, სამუშაოს დასაწყებად, საზაფხულო ბანაკში წასასვლელად ან სხვა მიზნით;
- წერილი ოფიციალურ პირს და წერილი მეგობარს ზღაპრული სამყაროდან;
- საგაზეთო სტატია ერთ-ერთი ზღაპრული ქვეყნის შესახებ;
- იძებნება;
- ინტერვიუ;
- პერსონაჟის მონოლოგი, ოცნება;
- ტექსტის შინაარსი.

მოსწავლეები წერილობითი ტექსტებიდან ყველაზე ბოლოს ახალ ზღაპარს ქმნიან.

აღნიშნული პორტფოლიოს წარმოება 3-4 კვირას გრძელდება, ყოველი კვირის ბოლოს მოსწავლეები ავსებენ რეფლექსიის ფურცლებს, რომლებიც სხვა დოკუმენტებთან ერთად იდება პორტფოლიოში.

3. წერილობითი ტექსტების მახასიათებლები

ტექსტის შინაარსი

1. ტექსტის შინაარსის გადმოცემისას უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი:

- ტექსტის მხოლოდ ძირითადი სიუჟეტური ჩარჩო გადმოცემა, მხოლოდ ფაქტობრივი ინფორმაცია აღიწერება, მოწოდებული ინფორმაცია აზრობრივად დასრულებულია;
- სიუჟეტის მხოლოდ მნიშვნელოვან ასპექტებს ექცევა ყურადღება;
- შინაარსი ბევრად მოკლეა, ვიდრე თავად ტექსტი.

2. შინაარსის სტრუქტურა

შესავალი: მოსწავლე ასახელებს ტექსტის ავტორს, დაწერის თარიღს, ჟანრს, მოტივს და პერსონაჟებს. შესავალი მაქსიმუმ ორი-სამი წინადადებისაგან უნდა შედგებოდეს.

ნიმუში:

ზღაპარი ჰენზელი და გრეტელი დაწერილია ძმები გრიმების მიერ მე-19 საუკუნის დასაწყისში. მასში აღწერილია და-ძმის ისტორია, რომელნიც დედინაცვლის შთაგონებით მამამ ტყეში მიატოვა, თუმცა ბოლოს ისინი კვლავ მამას უბრუნდებიან.

ძირითადი ნაწილი: ტექსტის მოკლე შინაარსი

დასკვნა: ეს ნაწილი არაა აუცილებელი ნებისმიერ *ტექსტის შინაარსს* ახლდეს. მასწავლებელს შეუძლია, თუ ის ამას საჭიროდ ჩათვლის, მოსწავლეებს დაავალოს მისი დაწერაც, დასკვნაში წაკითხული ტექსტისადმი მოსწავლეთა დამოკიდებულება და შეფასება ფიქსირდება.

3. ტექსტის შინაარსის ძირითადი ნაწილის დასაწერად გასავლელი ეტაპები:

- მოსწავლემ ტექსტი საფუძვლიანად უნდა წაიკითხოს;
- მოსწავლემ ტექსტის სიუჟეტი მნიშვნელოვან ეტაპებად უნდა დაანაწევროს და შემდეგ დაასათაუროს. იმავდროულად, დასათაურებული ეპიზოდის მნიშვნელოვანი დეტალები საკვანძო სიტყვებით უნდა მოინიშნოს.

ნიმუში:

დედინაცვლის გადაწყვეტილება:

დედინაცვლისა და მამის საუბარი, და-ძმის რეაქცია, ჰენზელის განზრახვა

და-ძმის ტყეში დაკარგვა:

ჰენზელისა და გრეტელის სტრატეგიები, ბოროტ დედაბერთან შეხვედრა, გრეტელის მოხერხებულობა

და-ძმის დაჯილდოება:

მამასთან შეხვედრა, შეცვლილი რეალობა

4. ტექსტის შინაარსის წერისას გასათვალისწინებელი რჩევები

რჩევა №1: უნდა დაიწეროს ფაქტები

ნიმუში:

~~გულცივი დედინაცვლის შთაგონებით მამამ გადაწყვიტა თავისი შვილები ტყეში უპატრონოდ დატოვებინა, რის შედეგადაც ჰენზელი და გრეტელი საშინელ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, ისინი საზიზღარმა ბოროტმა დედაბერმა დაატყვევა.~~

შინაარსის წერისას მოსწავლემ მხოლოდ ფაქტები უნდა აღწეროს, თავი უნდა შეიკავოს ემოციის, შეფასების გამომხატველი სიტყვებისა და ფრაზებისაგან. გადახაზულ ტექსტში ასე-

პედაგოგთა დასახმარებლად

თი სიტყვები და გამონათქვამებია: *გულცივი* (ზღაპარში დედინაცვალი ასე არაა მოხსენიებული, ამიტომ ინტერპრეტაციას წარმოადგენს), *საშინელ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, საზიზღარმა დედაბერმა*. დეტალები, ემოციები და პიროვნული შეფასებები *შინაარსის* გადმოცემისას არ უნდა ფიგურირებდეს.

ტექსტის აღნიშნული დეტალები ასე უნდა გადმოცემულიყო:

დედინაცვლის სურვილისამებრ მამამ შვილები ტყეში დატოვა. და-ძმა ტყეში დაიკარგა და ისინი ბოროტმა დედინაცვალმა დაატყვევა.

რჩევა №2: მოსწავლემ აღწერილ მოვლენებს შორის მიზეზშედეგობრივი კავშირი უნდა აჩვენოს

- *შინაარსის* გადმოცემისას ქრონოლოგიური თანმიმდევრობის დაცვა არაა აუცილებელი;
- მოვლენებსა და პერსონაჟებს შორის მიზეზშედეგობრივი კავშირი ნათლად უნდა იყოს წარმოდგენილი.

რჩევა №3: მოსწავლემ *შინაარსის* აღწერისას საკუთარი სიტყვები უნდა გამოიყენოს, პირდაპირი ნათქვამი ირიბ ნათქვამად უნდა გადააკეთოს

რჩევა №4: ტექსტის *შინაარსი* ახლანდელ დროში იწერება, არ აქვს მნიშვნელობა, თავად მხატვრული ტექსტი რომელ დროშია დაწერილი

სამოტივაციო წერილი

მარიამ მაისაშვილი 21.06.2015
ჩერქეზიშვილის 4
ტელეფონი: 599 33 33 33
ელექტრონული ფოსტა:
lrakli.khvedelidze@yahoo.de

↕

არასამთავრობო ორგანიზაცია „საზაფხულო ბანაკი“
გუდიაშვილის 23
დირექტორი – მალხაზ დგებუაძე

↕

სამოტივაციო წერილი საზაფხულო ბანაკში ადგილის მოსაპოვებლად ← რას უკავშირდება სამოტივაციო წერილი

ბატონო მალხაზ,

- **სად შეიტყვეთ** ამ საზაფხულო ბანაკის შესახებ
- თქვენი **ამჟამინდელი საქმიანობა**
- საზაფხულო ბანაკის ტიპის აქტივობები **როდის და რა სახით გახდა თქვენთვის აქტუალური**
- რატომ ფიქრობთ, რომ გაქვთ **უნარები**, რომლებიც საზაფხულო ბანაკში ყოფნისათვის არის მნიშვნელოვანი
- რატომ **აირჩიეთ** კონკრეტული საზაფხლო ბანაკი
- ერთი-ორი წინადადებით გამოთქვით **სურვილი**, რომ დადებითი გადაწყვეტილება მიიღონ

ტექსტი

პატივისცემით,
მარიამ მაისაშვილი

ზღაპარი

ზღაპრის შექმნისას შემდეგ კრიტერიუმებს უნდა მიექცეს ყურადღება:

- მოსწავლემ უნდა შექმნას გმირის მხატვრული სახე, მისი გმირობის დამადასტურებელი ნიშნები ნათლად უნდა იყოს მოცემული ტექსტში;
- უნდა იყოს აღწერილი ბოროტი არსება, მისი ბოროტება ცალსახად უნდა იყოს წარმოჩენილი;
- მოქმედება უნდა ვითარდებოდეს უჩვეულო ადგილას და დროც არარეალური უნდა იყოს;
- გმირს დავალება, ამოცანა უნდა ეძლეოდეს გადასაჭრელად;
- ზღაპარი უნდა სრულდებოდეს გმირის დაჯილდოებით;
- ზღაპარში გამოყენებული უნდა იყოს მოსწავლის მიერ მოფიქრებული მაგიური ვერბალური ფორმულები;
- ზღაპარში უჩვეულო ლექსიკა უნდა იყოს გამოყენებული, რომელიც მათ მიერ წინასწარდამზადებული „საცრებიდან“ შეუძლიათ აიღონ;
- ზღაპარს უნდა გასდევდეს „წითელი ხაზი“, რომელიც ტექსტს აზრობრივ მთლიანობას ანიჭებს.

იძებნება

იძებნება
.....

იძებნება .....
მას აცვია .....
დაკარგვამდე ის ასე იქცეოდა: .....
.....
ის შემდეგი თვისებებით გამოირჩევა: .....
.....

ძებნილის შესახებ ინფორმაციის მომწოდებელი დასაჩუქრდება!

რეფლექსიის ფორმები

პორტფოლიოში ჩადებულ თითოეულ დოკუმენტს უნდა ახლდეს რეფლექსიის ფურცელი. მისი სტრუქტურა ასეთია:

შექმნილი დოკუმენტის თავფურცელი

პორტფოლიოში ჩასადები დოკუმენტის სახელწოდება:
.....
შესრულებული სამუშაოს ტიპი:
.....
როგორ მიმდინარეობდა აღნიშნული ტექსტის შექმნის პროცესი:
.....
.....
.....

- რატომ შეირჩა ტექსტის აღნიშნული ვარიანტი: .....
  – რა გამომივიდა კარგად:
  .....
  .....
- რა ინფორმაციას იძლევა ეს დოკუმენტი ჩემ შესახებ
  .....
  .....

აღნიშნული დოკუმენტი პორტფოლიოს დამთვალიერებელს უზუსტებს ნამუშევრის ტიპს

- ყოველი კვირის ბოლოს მოსწავლის მიერ შესავსები რეფლექსიის ფურცელი

სწავლის პროტოკოლი

მიმდინარე კვირა უკავშირდებოდა:	ამ კვირას ვისწავლე
.....	.....
.....	.....
ჩემთვის რთული აღმოჩნდა:	მეტი მინდა გავიგო შემდეგთან დაკავშირებით
.....	.....
.....	.....
საინტერესო იყო:	მოსაბეზრებელი იყო:
.....	.....
.....	.....
მუშაობის შემდეგი მეთოდი გამოვიყენე:	ჩემთვის ახალი იყო:
.....	.....
.....	.....

5. მოსწავლის მიერ შექმნილი ტექსტის რედაქტირების მეთოდები

წერითი კონფერენცია

წერითი კონფერენციის ფარგლებში ტექსტის ავტორი საკუთარ ნამუშევარს უკითხავს კლასს, თანაკლასელები კი ზეპირად ან წერილობით წინასწარმიცემული კრიტერიუმების მიხედვით აფასებენ. ამ დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კონსტრუქციულ პასუხებს. შეიძლება, პირველ ეტაპზე მოსწავლეებს ვთხოვოთ, ნაშრომის მხოლოდ დადებითი მხარე აღნიშნონ, შემდეგ ეტაპზე კი ხარვეზებსაც მიაქციონ ყურადღება.

ნაშრომის აშიაზე კომენტარების დაწერა

მოსწავლის ნამუშევარი უნდა დავაკრათ A3 ფორმატის ქაღალდზე. ამ სახით ვრცელი აშიები შეიქმნება. თანაკლასელები, ერთი მხრივ, აღნიშნავენ დადებით მხარეებსა და ხარვეზებს და მეორე მხრივ, კონკრეტულ რჩევებს აფიქსირებენ. გარდა ამისა, თითოეულმა მოსწავლემ, მის მიერ გაკეთებული კომენტარის ქვეშ საკუთარი სახელი და გვარი უნდა დაწეროს. ამ სახით A3 ფორმატის ქაღალდზე დაკომენტარებული ნამუშევრები კლასში გამოიფინება. მასწავლებელი და მოსწავლეები დაწერილ კომენტარებს ერთობლივად ეცნობიან, ხოლო კომენტარების ავტორი უკვე სახლში წერს გამოხმაურებას. მასში ის ყურადღებას აქცევს რჩევებს, რომლებიც გამოადგება და აღნიშნავს იმასაც, თუ რაიმე მისთვის მიუღებელია.

ტექსტი გამადიდებელი შუშის ქვეშ, *წერითი კარუსელი*

მოსწავლეები ერთმანეთის ნაწერებს წინასწარგანსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით აფასებენ, თითოეულ შენიშვნასთან დაკავშირებით ალტერნატიულ ვარიანტს სთავაზობენ თანაკლასელს. ხარვეზებსა და რჩევებს წინასწარ ამობეჭდილ სამუშაო ფურცელზე წერენ. აღნიშნულ სამუშაოს მოსწავლეები წყვილებში ასრულებენ. ამ დროს ისინი ერთმანეთის პირისპირ სხედან და ამ ფორმით ერთვებიან აქტივობაში. რამდენი წყვილიც იქნება კლასში, იმდენი ექსპერტთა ჯგუფი შეიქმნება. თითოეული წყვილი თანაკლასელთა ნაწერებს მხოლოდ ერთი კრიტერიუმის მიხედვით შეაფასებს.

წინასწარ შედგენილი სამუშაო ფურცელი ასე გამოიყურება:

ექსპერტთა პირველი ჯგუფი ექსპერტთა სახელები და გვარები	ჩვენ ნაშრომს შევისწავლით შემდეგი კრიტერიუმის მიხედვით:	ნაშრომში ჩვენ განსაკუთრებით მოგვწონს	ტექსტის ავტორს ვურჩევდით ....
ექსპერტთა მეორე ჯგუფი ექსპერტთა სახელები და გვარები	ჩვენ ნაშრომს შევისწავლით შემდეგი კრიტერიუმის მიხედვით:	ნაშრომში ჩვენ განსაკუთრებით მოგვწონს	ტექსტის ავტორს ვურჩევდით ....

რეფლექსიის ფურცლები, წერით კონფერენციასა და წერით კარუსელზე შევსებული სამუშაო ფურცლებიც პორტფოლიოში უნდა ჩაიწყოს. ამგვარად წარმოებული პორტფოლიო ადეკვატურ და სრულ სურათს ქმნის არა მხოლოდ მიღწევების თვალსაზრისით, არამედ აჩვენებს პროცესსაც.

ქართველი სტუდენტები უცხოეთში

ახალგაზრდობის წლები სავსე უნდა იყოს სხვადასხვა სახის ექსპერიმენტით

რუბრიკის სტუმარია იოსებ ჟორჟოლიანი, ვაშინგტონისა და ჯეფერსონის კოლეჯის სტუდენტი, საქართველოს ახალგაზრდა ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში

– რამდენად წარჩინებული მოსწავლე იყავი და როგორ გახსენდება სკოლაში გატარებული წლები, მასწავლებლები, განსაზღვრა თუ არა სკოლამ შენი პროფესიული მომავალი?

– ვსწავლობდი თბილისის 21-ე საჯარო სკოლაში, რომელსაც ადრე მე-6 გერმანული გიმნაზია ერქვა და მეხუთე კლასამდე გერმანულს ვეუფლებოდი. შემდეგ კერძო სკოლა „მერმისში“ გადავედი და ბოლოს, „ლოგოსში“ აღმოვჩნდი, სადაც უკვე ინტენსიურად დავიწყე მუშაობა უცხოეთში სწავლის გასაგრძელებლად. რა თქმა უნდა, პროფესიის არჩევაში დიდი როლი ითამაშა სასკოლო განათლებამ. საერთოდ, სულ მიმიწევდა გული ახალი თავგადასავლებისკენ და უცხოეთშიც ხშირად ვმოგზაურობდი. ვიყავი ევროპული ახალგაზრდული პარლამენტის დელეგატი, რის შედეგადაც ხშირად მიწევდა სხვადასხვა ევროპულ ქვეყანაში საქართველოს წარდგენა. ძალიან მომწონს, როდესაც ჩვენი ქვეყნის შესახებ ვესაუბრები უცხოელებს. უცხოეთში მოგზაურობის შედეგად მიღებულმა გამოცდილებამ მომცა მოტივაცია, რომ სწავლაც საზღვარგარეთ გამეგრძელებინა. ყველაზე სანაქებო განათლების სისტემა კი სწორედ ამერიკას აქვს, ამიტომაც გადავწყვიტე, გეზი ჩრდილოეთ დასავლეთისკენ ამეღო.

– სკოლის დამთავრების შემდეგ, სასწავლებლად, ამერიკაში გაემგზავრე. რა გზა გაიარე უნივერსიტეტში მოსახვედრად?

– ორწლიანი მზადების შედეგად, რომელიც კერძო სკოლა „ლოგოსში“ გავიარე, ჩავაბარე SAT-ის და TOEFL-ის გამოცდები. ამის შემდეგ საბუთები გავგზავნე ამერიკულ უნივერსიტეტებში. სკოლის დამამთავრებელი წელი ძალიან კარგად მახსენდება, მოლოდინი – თუ რომელი უნივერსიტეტი მიმიღებდა და სად გავაგრძელებდი სწავლას. 11 უნივერსიტეტიდან 8 დადებითი პასუხი მომივიდა. რომელ უნივერსიტეტში წავიდოდი, უკვე ფინანსური დახმარება წყვეტდა. თუმცა მინდოდა, რომ ჩემს ოჯახს ნაკლები ხარჯი ჰქონოდა. დაფინანსების ძიებისას, შევიტყვე განათლების სამინისტროს პროექტის შესახებ და გავაგზავნე საბუთები. ინტერვიუს გავლის შემდეგ დამიკავშირდნენ და სასიხარულო ამბავი მაცნობეს. ასე მოვხვდი დასავლეთ პენსილვანიაში, ვაშინგტონისა და ჯეფერსონის კოლეჯში, სადაც უკვე ორი წელია ვსწავლობ.

– რა პრივილეგიებით სარგებლობენ წარჩინებული სტუდენტები, არის თუ არა მათთვის რაიმე შეღავათები?

– ძალიან დიდი ყურადღება ექცევა მოსწავლეების წახალისებასა და მათი მიღწევების დაფასებას. ჩემს უნივერსიტეტში არის გრანტების მოპოვების საშუალება. რომლის მეშვეობითაც მოსწავლეები სხვადასხვა ქვეყანაში მოგზაურობენ და მათთვის საინტერესო თემებს იკვლევენ. ასევე სტაჟირებისთვის გამოიყოფა ფულადი ჯილდო, რომელიც სხვადასხვა ორგანიზაციებში სტაჟირების საშუალებაა. სხვათა შორის, რამდენიმე კვირის წინ გავიმარჯვე კონკურსში და მაქსველის ფონდის დაფინანსება მოვიპოვე. ასევე გავხდი გერმანული საზოგადოების საპატიო წევრი, აკადემიური მოსწრების დამსახურებით. ასე რომ, ამერიკულ უნივერსიტეტებში ნამდვილად არის პრივილეგიების მოპოვების შანსი.

– როგორ ფიქრობ, რა უპირატესობა აქვს ამერიკულ მოწინავე უმაღლეს სასწავლებლებს ქართულთან შედარებით, რა შეგიძლია გვიამბო სასწავლო პროგრამების, ლექციებისა და პროფესორ-მასწავლებლების შესახებ, რა მსგავსება და განსხვავებაა ამერიკულ უმაღლეს სასწავლებლებსა და ქართულს შორის?

– ვერ ვიქნები კომპეტენტური, თუ შევადარებ ამერიკულ და ქართულ უნივერსიტეტებს, რადგან ქართულ უმაღლეს სასწავლებელში არ მისწავლია. ამერიკულ უნივერსიტეტებზე კი ძალიან კარგი შთაბეჭდილება მრჩება, რადგან საკუთარი თავის გამოვლენის ყველანაირი საშუალება ეძლევა სტუდენტს. რა თქმა უნდა, შეზღუდვები არის უცხოელი სტუდენტებისთვის, მაგრამ თუ ბევრს იმუშავებ და დაამტკიცებ, რომ იმსახურებ შანსს, ნამდვილად დაგიფასდება. აქ სამუშაოს დაწყებაც არ არის რთული. როდესაც სტუდენტი ხარ, ყველა ხელს გიწყობს, რომ რამე კარგი შექმნა და ახალი ინიციატივები წამოიწყო. ჩემი სამუშაოების გარდა კიდევ რამდენიმე პროექტზე ვმუშაობ, რომელიც მეწარმეობისა და პოლიტიკის კლასს უკავშირდება. პროფესორებიც ძალიან მეგობრულები არიან და მათი დახმარებით თავს საერთოდ არ ვგრძნობ უცხო გარემოში.

– მიამბე შენი სამუშაო გამოცდილების შესახებ. როგორც ვიცი, კოლეჯის რადიოს ერთ-ერთი შოუს – „გლობალური პერსპექტივების“ – წამყვანი ხარ და ასევე, კოლეჯის გაზეთის „წითელი და შავი“ მიმომხილველი. კონკრეტულად მოგვიყევი შენი საქმიანობის, უფლება-მოვალეობების შესახებ... ვინ არიან შენი მსმენელები და მკითხველები?

– ძალიან მნიშვნელოვანია სკოლის ასაკში იმაზე ფიქრი, თუ რა გსურს აკეთო მომავალში. ვფიქრობ, ახალგაზრდობის წლები სავსე უნდა იყოს სხვადასხვა სახის ექსპერიმენტით, ამიტომაც მუდმივად ვცდილობ, ბევრ აქტივობაში ჩავერთო და გამოვცადო საკუთარი თავი. ვაშინგტონისა და ჯეფერსონის კოლეჯში სწავლის პარალელურად, ვარ ამ უნივერსიტეტის რადიოში, შოუს „გლობალური პერსპექტივები“ წამყვანი, რომელსაც დასავლეთ პენსილვანიის მილიონზე მეტ მოსახლეზე აქვს წვდომა; სტატიებს ვწერ საუნივერსიტეტო გაზეთში „Red and Black“, რომლის ძირითადი მკითხველები პროფესორები და სტუდენტები არიან, ასევე ვარ ორიენტაციის ლიდერი – ახალი სტუდენტების დახვედრა და დახმარება მევალება. გერმანული ენის მაღალ დონეზე ცოდნის დამსახურებით, დამხმარე მასწავლებლად დავინიშნე, კვირაში ოთხ საათს პირველკურსელებს ვეხმარები გერმანული ენის უკეთ ათვისებაში. რა თქმა უნდა, რთულია, სწავლასთან ერთად, ამდენი საქმის შეთავსება, მაგრამ თავად მსიამოვნებს სხვადასხვა აქტივობაში ჩართვა, ახალი გამოცდილებისა და მეგობრების შეძენა.

– სოსო, პროექტის „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“ თანახმად, აგირჩიეს საქართველოს ახალგაზრდა ელჩად აშშ-ში. რამდენად მნიშვნელოვანია ეს პროექტი და რის განხორციელებას გეგმავ პროექტის ფარგლებში?

– მიხარია, რომ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ მეტად საინტერესო პროექტი წამოიწყო. ახალგაზრდა ელჩების მოვალეობაა, რომ საქართველოს სახელი გაიტანონ უცხოეთში და სხვა ქვეყნის მოქალაქეებს ჩვენი ერის კულტურა გააცნონ. ამ პროექტის ფარგლებში, რამდენიმე ღონისძიება გავმართე, მათ შორის ყველაზე წარმატებულად ქართული ღვინის საღამო მიმაჩნია, რომელსაც სამოცდაათამდე სტუმარი დაესწრო და ქართულ ღვინოზე მოთხოვნა ქალაქ პიტსბურგში საოცრად გაიზარდა. ასევე დავაფუძნე ქართული ახალგაზრდული ქსელი აშშ-ში. georgianyouth.net – ამ საიტით ვცდილობ, საქართველოს შესახებ მეტი ინფორმაცია მივაწოდო ამერიკელ ახალგაზრდებს.

ერთ-ერთი ბოლო ღონისძიება, ახალგაზრდა ელჩის რანგში, მაისში გავმართე, ქალაქ ნიუ-იორკში, საქართველოს საკონსულოსა და ქართული ინტელექტკლუბის დახმარებით ჩავატარე ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის?“, რომელშიც ქართველი ახალგაზრდები მონაწილეობდნენ. ისინი 9 სხვა ქვეყანას დაუპირისპირდნენ, სადაც ჩემმა კოლეგა ახალგაზრდა ელჩებმა, პარალელურ რეჟიმში, გამართეს ინტელექტუალური თამაში.

– სად და როგორ ატარებ თავისუფალ დროს? მიამბე, როგორ ცხოვრობენ ამერიკელი ახალგაზრდები, რა არის მათთვის პრიორიტეტული, როგორია ამერიკული სტუდენტური ცხოვრება?

– ჩემს უნივერსიტეტში ყოველდღიური ცხოვრება ძალიან სასიამოვნოა. ბევრი ამერიკელი და უცხოელი მეგობარი მყავს, მათთან ერთად „უიქენდებზე“ ძალიან სასიამოვნო დროს ვატარებ. როდესაც მეკითხებიან, როგორია ამერიკული სტუდენტური ცხოვრება, ვფიქრობ, ყველასთვის სხვადასხვანაირია. არიან სტუდენტები, რომლებსაც სულ წვეულებებისკენ გაურბით თვალი და არიან ისეთებიც, დროს მოგზაურობასა და ახალი მეგობრების შეძენაში რომ ატარებენ. რა თქმა უნდა, კარგია წვეულება და გართობა კამპუსის სამეგობროებში, თუმცა, გარკვეული პერიოდის შემდეგ ხვდები, რომ რაღაც ახალი გჭირდება, ეს რუტინა მოსაბეზრებელი ხდება. მე ბევრი მოგზაურობა მიწევს, ახალგაზრდა ელჩობის ფარგლებში, ხშირად ვსტუმრობ სხვადასხვა ქალაქებს მეგობრებთან ერთად, რაც ამერიკაში ვარ, დაახლოებით, ათი შტატი მოვინახულე.

– როგორ გესახება მომავალი, სად აპირებ დამკვიდრებას? როგორ ფიქრობ, საზღვარგარეთ მიღებული განათლება და დიპლომი საქართველოში დასაქმებაში ითამაშებს თუ არა გადამწყვეტ როლს?

– ჩემი დიდი სურვილია, საქართველოს წინსვლაში გარკვეული წვლილი შევიტანო. ნამდვილად მსურს, ჩემი ქვეყანა გაერთიანებული ვნახო და ის პრობლემები, რაც დღეს ხალხს აწუხებს, მალე მოგვარდეს. ვიმედოვნებ, რომ აქ მიღებულ გამოცდილებას საქართველოს მოვახმარ, თუმცა ვფიქრობ, ადრეა ჩემს გამოცდილებაზე საუბარი, რადგან მხოლოდ 19 წლის ვარ და კიდევ საფიქრალი მაქვს, თუ რისი გაკეთება მსურს და შემიძლია მომავალში. რაც შეეხება დამკვიდრებას, ჯერ მეორე კურსზე ვარ, წინ კიდევ ორი წელი მაქვს. ვგეგმავ, ბევრი ვიმოგზაურო, გარკვეულ პროექტებზე ვმუშაობ და იმედია, ყველაფერი გამომივა.

– დაბოლოს, როცა ადამიანი საზღვარგარეთ ცხოვრობს, ის ალბათ მეტს და ღრმად ფიქრობს სამშობლოზე. საზღვარგარეთ გატარებულ მცირე პერიოდშიც კი სხვანაირად აფასებს საკუთარ ღირებულებებს. როგორ ფიქრობ, მიგვიღებს ევროპა ისეთებს როგორებიც ვართ, თუ ძალიან ბევრი რამის გადახედვა და გადაფასება მოგვიწევს? რა არის ღირებული, რაც ამერიკაში გატარებულმა პერიოდმა მოგცა?

– ჩვენი ქვეყნის მისწრაფება ევროპისკენ და ჩრდილო-დასავლური ალიანსისკენ ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯია. ვფიქრობ, რომ ქვეყანას სწორი მიზანი აქვს, გახდეს ევროატლანტიკური ოჯახის წევრი. ჩემი გადმოსახედიდან, გადამეტებულია ქართული ღირებულებების უარყოფით კონტექსტში მოხსენიება. ჩვენ არ ვართ ისეთი ქვეყანა, რომელიც შორს დგას დემოკრატიისა და დემოკრატიული პრინციპებისგან. სირთულეები, რომელშიც საქართველოა, წარსულში დაშვებული დიდი შეცდომების ბრალია. ქვეყანას, რომელმაც სამოქალაქო და სამამულო ომები გამოიარა, ნამდვილად ვერ მოსთხოვ, მსოფლიოში მოწინავე პოზიციები ეჭიროს. ჩვენი ქვეყანა, ასე თუ ისე, ვითარდება და მიმაჩნია, რომ ახალი თაობა და ახალგაზრდული ინიციატივები დიდ როლს ითამაშებენ ჩვენი ქვეყნის განვითარებაში. აქ გატარებულმა წლებმა სწორედ ის მასწავლა, რომ რა პრობლემებიც საქართველოშია, თვითონ დემოკრატიის აკვნად მოხსენიებულ ამერიკაშიც ხშირად გვხვდება. სტერეოტიპი, რომ ამერიკა უტოპიური ქვეყანაა, ნამდვილად მცდარია. აქ ძალიან ცხადად ჩანს, რომ ადამიანი თავისუფლად მოაზროვნე უნდა იყოს, ყველას და ყველაფერს გაგებით მოეკიდოს, იმის მიუხედავად, რამდენად ეწინააღმდეგება ეს მის პრინციპებს. საკუთარი შრომის ხარჯზე სწორედ ასეთი თვისებების მქონე ადამიანები აღწევენ ამერიკაში წარმატებას და დიდ პატივისცემასაც იმსახურებენ.

ესაუბრა
მაკა ყიფიანი

ინფორმაცია

საერთაშორისო ექსპერტმა მასწავლებელთა სქემის დანერგვის პროცესი დადებითად შეაფასა

მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით მოწვეულმა საერთაშორისო ექსპერტმა **მარკ ატკინსონმა** მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის ინსტრუმენტების ექსპერტიზა დაასრულა. ექსპერტი უკვე შეხვდა განათლებისა და მეცნიერების მინისტრს **თამარ სანიკიძეს** და სამუშაო შეხვედრების შედეგები გააცნო. მასწავლებელთა ეფექტიანობის შეფასების სისტემის ექსპერტის, მარკ ატკინსონის შეფასებით, სქემა სწავლების პროცესში მნიშვნელოვანი პოზიტიური ცვლილებების განხორციელების შესაძლებლობას იძლევა.

„იმ ინსტრუმენტების გამოყენებით, რომელიც უკვე შემუშავებულია და პილოტირებისთვის მზად არის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, მნიშვნელოვანი ცვლილებები იგეგმება. ყოველივე ეს მასწავლებლებს გაკვეთილების უკეთ დაგეგმვაში, ინტერაქტიული მეთოდების დახვეწასა და საგნის სწავლების მაღალი სტანდარტების დანერგვაში დაეხმარება, რათა თქვენი მოსწავლეები კონკურენტუნარიანები გახდნენ მსოფლიოს მასშტაბით.“ – აცხადებს მარკ ატკინსონი.

მინისტრის განცხადებით, მარკ ატკინსონი ჯერ კიდევ სქემის კონცეფციის შემუშავების დროს იყო პროცესში ჩართული და ექსპერტის მხრიდან ასეთი მაღალი შეფასება კიდევ ერთი გარანტია იმისა, რომ მოსალოდნელი შედეგი მიიღწევა. მნიშვნელოვანია, რომ სქემის განხილვა მიმდინარე რეჟიმში მოხდეს და კარგად დამუშავდეს დეტალები.

განათლების ტექნოლოგიებისა და განათლების პოლიტიკის ექსპერტი მარკ ატკინსონი საქართველოში 15 ივნისს ჩამოვიდა. მან ცენტრის ექსპერტ-კონსულტანტებთან ერთად, ერთი კვირის განმავლობაში, სქემის ძირითადი ინსტრუმენტების დამუშავებაში მიიღო მონაწილეობა. სქემის წარმატებით დანერგვის მიზნით, საერთაშორისო და ადგილობრივი სპეციალისტების მიერ, პროცესის და შედეგების შეფასება 2015-2016 სასწავლო წლის განმავლობაშიც განხორციელდება.

კიდევ ერთი სტრატეგიული პროექტი იწყება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ბოლო წლებია, ინტენსიურად მუშაობს სხვადასხვა მიმართულების სტრატეგიული სამეცნიერო-ექსპერიმენტული ბაზების დაარსებაზე, სწორედ ასეთი ახალი ტიპის ენერგეტიკის და ჰიდროტექნიკის ლაბორატორია იქმნება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაზაზე. 17-მილიონიანი პროექტის განხორციელებაში საქართველოს პარტნიორია მსოფლიოში ცნობილი ავსტრიული ფირმა „ბილფიგერი“, რომლის წარმომადგენლებსაც მინისტრი თამარ სანიკიძე, მინისტრის მოადგილე გიორგი შარვაშიძე და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი არჩილ ფრანგიშვილი შეხვდნენ.

შეხვედრაზე სპეციალისტებმა, პრეზენტაციის სახით, სრულად წარმოადგინეს კონცეფციის თავიანთი ხედვა, პროექტის მიზანი და სტრატეგიული დანიშნულება.

„ჩვენ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ვახორციელებთ პროექტს სახელწოდებით „ენერგეტიკის და ჰიდროლოგიის ქართული კვლევითი ინსტიტუტი“. ვაპირებთ ჩამოვაყალიბოთ ყველაზე თანამედროვე ინსტიტუტი, სადაც სტუდენტებს, პროფესორ-მასწავლებლებსა და სხვადასხვა კომპანიებს შესაძლებლობა ექნებათ, ჩვენს ლაბორატორიებში ჩაატარონ მრავალი ექსპერიმენტი და კვლევა, რომელიც დაეხმარება საქართველოს მთავრობას, ორგანიზება გაუწიოს ისეთი საკითხების შესწავლას, როგორიცაა ჰიდროლოგია და ენერგეტიკა.

მწუხარებას გამოვთქვამ თქვენს ქვეყანაში განვითარებული ტრაგიკული მოვლენების გამო და ვიმედოვნებთ, რომ მომავალში, ტექნიკური უნივერსიტეტის დახმარებით, საშუალება გვექნება შევისწავლოთ წყალდიდობების გამომწვევი მიზეზები და თავიდან ავირიდოთ მძიმე შედეგები.“ – განაცხადა „ბილფიგერის“ რეგიონალურმა დირექტორმა **მასუდ მირზამ**.

ლაბორატორიაში შესაძლებელი იქნება კვალიფიციური კადრების მომზადება და კვლევების წარმოება. ჰიდროინჟინერიის კვლევითი ლაბორატორია იქნება პასუხისმგებელი არა მხოლოდ კადრების მომზადებაზე, არამედ ნებისმიერი გადაწყვეტილებისთვის ექსპერტული დასკვნის გაცემაზე. ეს კონკრეტული პროექტი მნიშვნელოვანია იმ კუთხით, რომ ეს კვლევითი და საექპერიმენტო ბაზა ზუსტად ესადაგება იმ გამოწვევებს, რომლის წინაშეც დღეს ქვეყანა დგას – იქნება ეს წყლის მართვა, კატაკლიზმები, ბუნებრივი რესურსები, ეკოლოგია თუ სხვა. ეს ყველაფერი დაგვეხმარება იმაში, რომ შესაბამისი კადრები მოვამზადოთ, ჩავატაროთ კვლევები და ექპერიმენტები, რომლებიც პრევენციის ნაწილშიც ძალიან გამოადგება ქვეყანას. ამ ცენტრში მასწავლებლებიც და პროფესორებიც თითქმის ერთწლიან უწყვეტ რეჟიმში გაივლიან გადამზადებას როგორც საქართველოში, ისე ავსტრიაში.

ახალი ლაბორატორია ნაწილია იმ სტრატეგიული მნიშვნელობის პროექტებისა, რომელსაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ახორციელებს. მალე საქართველოში ამოქმედდება რამდენიმე ძლიერი ინსტიტუცია, თანამედროვე საექსპერიმენტო ბაზით. ერთ-ერთი მათგანი – საუნივერსიტეტო კლინიკა უკვე წარმატებით ფუნქციონირებს. მალე დასრულდება აგრარული მიმართულების სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების რეაბილიტაცია, უახლოეს მომავალში ახალი ბაზებით განაახლებენ ფუნქციონირებას გამოთვლითი მათემატიკის, კიბერნეტიკის, კვანტური ფიზიკის ინსტიტუტები.

თამარ სანიკიძე: *„პროექტი მნიშვნელოვანია იმ კუთხითაც, რომ იმ მთლიანი სტრატეგიის ნაწილი და ერთ-ერთი შემავსებელი ობიექტია, რომლის გამართვაც საქართველოში ბოლო ორი წელია ინტენსიურად მიმდინარეობს. ეს კონკრეტული კვლევითი და სასწავლო საექსპერიმენტო ბაზა ზუსტად ესადაგება და პასუხობს იმ მოთხოვნებსა და გამოწვევებს, რომლის წინაშეც დღეს, სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყანა დგას – წყლის მართვა, კატაკლიზმები, ბუნებრივი რესურსები, ეკოლოგია და ა.შ. უახლესი ლაბორატორია დაგვეხმარება სათანადო კადრების მომზადებაში, შესაბამისი კვლევებისა და ექსპერიმენტების ჩატარებაში, რომლებიც სტიქიური უბედურებების პრევენციისთვის ძალიან გამოადგება ჩვენს ქვეყანას.*

ამ ლაბორატორიაში მასწავლებლები და პროფესორებიც ინტენსიურ, თითქმის ერთწლიან, უწყვეტ რეჟიმში გაივლიან გადამზადებას როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ, სახელდობრ ავსტრიაში.“

არჩილ ფრანგიშვილი: *„საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში იქმნება სრულიად ახალი ტიპის ლაბორატორია – ენერგეტიკის და ჰიდროტექნიკის. მის დაკომპლექტებაში და თვითონ კონცეფციის დამუშავებაში გვეხმარება ცნობილი გერმანული ფირმა „ბილფიგერი“. საუბარია ლაბორატორიაზე, სადაც ჩვენ შევძლებთ ისეთი საკითხების კვლევას, ექსპერტიზასა და მოდელირებას, როგორიცაა ღვარცოფები, წვიმისაგან და სხვა ბუნებრივი კატაკლიზმებისაგან გამოწვეული სტიქიები. საქართველოში აშენდება ჰესები და პორტები, რომელსაც სჭირდება ფიზიკური, ნატურული ექსპერიმენტები, ლაბორატორიული სივრცე და სწორედ ასეთი ცენტრი იქმნება საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში. ეს იქნება ერთ-ერთი უმსხვილესი, წამყვანი ცენტრი ევროპაში.“*

იუბილე

გვინდა, რომ ახლა გითხრათ მადლობა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნატანების კულტურის სახლში ჩატარდა ზემო ნატანების საჯარო სკოლის ყოფილი დირექტორის, ღვაწლმოსილი პედაგოგის, **იაკობ ბოლქვაძის** მოღვაწეობისადმი მიძღვნილი შეხვედრა და 75 წლის იუბილე.

საღამოს ესწრებოდნენ: ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა, რესურსცენტრის წარმომადგენლები, სკოლის აღზრდილები, პედაგოგები, სკოლის დირექტორები და სხვა მოწვეული სტუმრები.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა ზემო ნატანების საჯარო სკოლის დირექტორმა **ლაშა ბოლქვაძემ**.

დამსწრე საზოგადოება დალოცა **მამა მიქაელმა**. მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა ქალაქ ოზურგეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა **ლელა იმედაშვილმა** და ნაყოფიერი მუშაობისათვის იუბილარს მადლობის სიგელი გადასცა.

ზემო ნატანების საჯარო სკოლის მოსწავლეებმა, ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიციის ფონზე, წარმოადგინეს იაკობ ბოლქვაძის ცხოვრება და მოღვაწეობა.

თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ იაკობ ბოლქვაძემ, გარკვეული წლები, სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ იმუშავა. 1973 წლიდან ზემო ნატანების საშუალო სკოლაში ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას. 33 წელი იმუშავა ამ სკოლის დირექტორად, შემდეგ კი – ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებლად. მისი ოჯახი ღირსეულად აგრძელებს პედაგოგიურ ტრადიციებს – ოჯახის შვიდი წევრი პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა სხვადასხვა სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში.

იუბილარს მიესალმნენ: ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარმომადგენელი **დიმიტრი კვერღელიძე**, პედაგოგთა პროფკავშირის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე **როზა გოგუაძე**, საკრებულოს დეპუტატი **დავით სიხარულიძე**, ქვემო ნატანების საჯარო სკოლის დირექტორი **ლავრო კოსტავა**, პედაგოგები – **ვასილ ქინქლაძე**, **მარინა ზოიძე**, **მზევინარ ლომინაძე**, სკოლის აღზრდილები: ამაღლების სახელობის საბურთალოს ტაძრის წინამძღვარი **მამა კახაბერი**, პროფესორი **ნონა ბოლქვაძე**, ექიმი **მარინა თავაძე**, გურიის ქორეოგრაფ მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარე **მელის ნადირიძე**.



დასასრულს, სამადლობელი სიტყვით გამოვიდა ბატონი იაკობი, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას და შეხვედრის ორგანიზატორებს უღრმესი მადლობა მოახსენა.

ჭეშმარიტ მოძღვარს, სახალხო განათლების წარჩინებულს, მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის საპატიო წევრს, ღირსების მედლის კავალერს, ბატონ იაკობ ბოლქვაძეს დღეგრძელ სიცოცხლეს და ულევ სიხარულს ვუსურვებთ.

ვასილ ქინქლაძე
სსიპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ნატანების საჯარო სკოლის პედაგოგი

ინფორმაცია

შეხვედრა ღვაწლმოსილ პედაგოგთან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ არბოშიკის სკოლის ღვაწლმოსილ მათემატიკის მასწავლებელს და სკოლის ორგანიზატორს, **მერი კოჭლამაზაშვილს** ყოფილმა მოსწავლეებმა, თავად უკვე პაპა-ბებიებმა, შეხვედრა მოუწყვეს ილია ჭავჭავაძის სახელობის დედოფლისწყაროს მწიგნობართა ასოციაციის ოფისში. ინიციატორი და ორგანიზატორი მერი მასწავლებლის ყოფილი მოსწავლე, ამ ასოციაციის თავმჯდომარე, ბრწყინვალე ექიმი **ვანო ნატროშვილი** გახლდათ.

პოეტი **ჯუმბერ უთრუთაშვილი** საკუთარი ლექსით მიესალმა საყვარელ მასწავლებელს. მის ბიოგრაფიასა და შრომით მოღვაწეობაზე ვრცლად ისაუბრა სოფელ არბოშიკის რწმუნებულმა **მურად ელაშვილმა** და ხაზგასმით აღნიშნა: *„მერი მასწავლებელი დედობრივ მზრუნველობას გვიწევდა, თითოეულ მოსწავლეს შრომისა და სწავლის სიყვარულს გვინერგავდა. მან პირველმა შექმნა შრომითი რაზმი და მთელი ზაფხულის განმავლობაში მოსწავლეები, კოლწევრებთან ერთად, ვშრომობდით მინდორში, ზვრებში. მან არა მარტო მათემატიკა შეგვაყვარა, არამედ გვასწავლა სამშობლოს სიყვარული, მეგობრობა, ძმობა. ეს შეხვედრაც ხომ ამის დასტურია“.*

საღამოზე ამაგდარ პედაგოგს, დაბადების 85-ე წლისთავთან დაკავშირებით, ღია მისალოცი ბარათები გამოუგზავნეს: ფერმერმა **ნუგზარ მამუკელაშვილმა**, იაკობ გოგებაშვილის პრემიის ლაურეატმა, ღირსების ორდენის კავალერმა, ფილოლოგმა **ნანა მერაბიშვილმა**; მწიგნობართა ასოციაციის წევრებმა: **მანანა თურქაძემ** (თბილისის 51-ე საჯარო სკოლის დირექტორი), **ქეთი მხეიძემ** (მხატვარი), **მაყვალა გონაშვილმა** (პოეტი), ხოლო პოეტმა **ნანი საბანაძემ** ამაგდარ პედაგოგს ექსპრომტად ლექსი მიუძღვნა.

საღამოს დიდ ხიბლს მატებდა მერი მასწავლებლის საამაყო შვილიშვილების – ბექას, ნათიას, ბიძინას, ნატალის, მერიკოს და გურამის მიერ ნაამბობი რეალური ეპიზოდები მერი ბებიას განვლილი ცხოვრების გზის შესახებ. ფრედერიკ შოპენის და იოჰან სებასტიან ბახის გულში ჩამწვდომი მუსიკა სალბუნად ედებოდა ამ თბილ გარემოს.

შეხვედრის დასასრულს ღვაწლმოსილმა პედაგოგმა მადლიერება გამოხატა თავისი ყოფილი მოსწავლეების მიმართ და დასძინა: *მასწავლებლის გული არასოდეს ბერდება, თქვენთან შეხვედრამ გამაახალგაზრდავა, ყველანი ძალიან მიყვარხართ!*

ნანა ჭიჭინაძე
ილია ჭავჭავაძის სახელობის დედოფლისწყაროს მწიგნობართა ასოციაციის თანათავმჯდომარე

თეატრი ცოცხალი კომუნიკაციის უკანასკნელი ფორმაა

ამ დღეებში საქართველოს სახალხო არტისტი **ლეო ანთაძე** დედოფლისწყაროს სტუმრობდა. კულტურის სახლის დიდ საკონცერტო დარბაზში სრული ანშლაგი იყო. იგი მონო სპექტაკლებით – „ქვიშხური ესკიზები“ და „ბახტრიონი“ – წარდგა მაყურებლის წინაშე, ასევე დიდი ოსტატობით შეასრულა ზურიკელას როლი ნოდარ დუმბაძის სპექტაკლიდან „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“. 80 წლის მსახიობი, რომელსაც 60 წლის მანძილზე არაერთი საინტერესო როლი აქვს განსახიერებული თეატრსა და კინოში, დღესაც ჩვეული ოსტატობით იპყრობს მაყურებლის გულს. მაყურებლები, რომელთა უმრავლესობა მოსწავლე ახალგაზრდობა იყო, ხანგრძლივი აპლოდისმენტებით აჯილდოვებდა საყვარელ მსახიობს.

„მაყურებელი სპექტაკლის ნაწილია, ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი, მაყურებელი აცოცხლებს თეატრს, სპექტაკლს. ჩვენ თქვენთვის გამოვდივართ სცენაზე და ყველაფერს თქვენთვის ვაკეთებთ. თეატრი ცოცხალი კომუნიკაციის უკანასკნელი ფორმაა. ამ სპექტაკლებში ლიტერატურის და წიგნის პროპაგანდაა და ვფიქრობ, მნიშვნელოვანია, რადგან მაყურებელი ძალიან გადაერთო კომპიუტერზე. ვცდილობ, ჩემი წვლილი შევიტანო, რომ ახალგაზრდებმა მოკიდონ წიგნს ხელი. ძალიან მიხარია მოსწავლეებთან შეხვედრა და კარგია, რომ რეგიონებში ჩასვლის შესაძლებლობა მომეცა. კმაყოფილი ვარ, რადგან უამრავი მაყურებელი მოდის და მისმენს.“ – აღნიშნა ლეო ანთაძემ.

კომენტარი ვთხოვე სპექტაკლზე მოსულ მაყურებლებს:

ეთერ ოთარაშვილი, დედოფლისყაროს პირველი საჯარო სკოლის დირექტორი – *„მოხარული ვარ, რომ ამ დონის სახალხო არტისტი გვეწვია. ჩვენთვის დიდი პატივია მისი სტუმრობა დედოფლისწყაროში და მოსწავლეებთან ერთად უმშვენიერესი საღამოს გატარება. პოემა „ბახტრიონი“ სასკოლო პროგრამაში შედის და ამ სპექტაკლის ნახვას უფრო მეტი ხიბლი აქვს“.*

ნანა ჭიჭინაძე, ილია ჭავჭავაძის სახელობის დედოფლისწყაროს მწიგნობართა ასოციაციის თანათავმჯდომარე – *„როდესაც მარჯანიშვილის თეატრის სხვენში პირველად ვნახე მონო სპექტაკლი „ბახტრიონი“, ლეო ანთაძეს წარმოდგენის დასრულების შემდეგ შევხვდი და ვთხოვე, კარგი იქნება თუ ამ მონო სპექტაკლით დედოფლისწყაროსაც ეწვევით-მეთქი. მან მიპასუხა, რომ მაყურებელი ძალიან დაშორდა თეატრს და სწორედ ამიტომ ყველა რეგიონს მოვივლი, თუ ხალხი აღარ დადის თეატრში, თეატრი მივა ხალხთანო, დამპირდა, აუცილებლად ჩამოვალ ამ სპექტაკლით დედოფლისწყაროშიო. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ბატონ ლეოს, რომ ეწვია ჩვენს კულტურის სახლს და მოსწავლეებს საშუალება მიეცათ, ორი საათის განმავლობაში გაეტარებინათ დრო ცოცხალ ლეგენდასთან – ლეო ანთაძესთან“.*

ნიკოლოზ ჯანიაშვილი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი – *„დედოფლისწყაროელები და ზოგადად რეგიონების მაცხოვრებლები მოკლებულები ვართ ამ დონის სახალხო არტისტების წარმოდგენებზე დასწრების შესაძლებლობას. მით უმეტეს, რომ დიდი კორიფეები თანდათან გვაკლდებიან. ამიტომ ბედნიერი ვარ, რომ დღეს დედოფლისწყარო ბატონ ლეო ანთაძეს მასპინძლობს. სასურველია, ასეთი შეხვედრები ხშირად იმართებოდეს და დიდი მსახიობები რეგიონებსაც სტუმრობდნენ. ცხადია, ამაში ჩვენც ხელს შევუწყობთ“.*

დათო ყოჩიაშვილი, სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლე – *„ჩემი თანაკლასელების სახელით, მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ბატონ ლეო ანთაძეს, რომ შესაძლებლობა მოგვეცა, ვაჟა-ფშაველას უკვდავი პოემა „ბახტრიონი“ გვენახა ჩვენი კულტურის სახლის სცენაზე. მადლობა ასევე ჩვენი რაიონის გამგებელს ნიკოლოზ ჯანიაშვილს, რომლის ძალისხმევითა და მხარდაჭერით არაერთი კულტურული ღონისძიება იმართება ჩვენს ქალაქში“.*

ლეო ანთაძემ მონო სპექტაკლებით – „ქვიშხური ესკიზები“ და „ბახტრიონი“ – დედოფლისწყაროდან სიღნაღის თეატრში გადაინაცვლა.

მარიკა პოპიაშვილი

ინფორმაცია

შეხვედრა ევროკომისიის წარმომადგენელთან

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე გიორგი შარვაშიძე ევროკომისიის განათლებისა და კულტურის გენერალური დირექტორატის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელ ადამ ტაისონს შეხვდა.

შეხვედრაზე იმსჯელეს საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობებზე, ასევე, იმ რეფორმებზე, რომელიც საქართველოს განათლების სისტემაში ხორციელდება. მხარეებმა ისაუბრეს ევროგაერთიანების როლსა და ჩართულობაზე საქართველოში მიმდინარე პროექტებში. ტაისონის განმარტებით, საქართველო მიზნობრივ მხარდაჭერას მიიღებს ევროკავშირისგან ამ პროცესების გასაგრძელებლად და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების განვითარების მიზნით. ევროგაერთიანების მიერ ასევე სრულად მხარდაჭერილი იქნება საქართველოში მიმდინარე რეფორმები, რომელიც განათლების ხარისხის და აღიარების პრინციპებს უკავშირდება. გარდა ამისა, უცხოელმა პარტნიორებმა მზაობა გამოთქვეს, ამ მიმართულებით, საქართველოს საექსპერტო და ტექნიკური დახმარება გაუწიონ.

გიორგი შარვაშიძე, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე: *„გავაცანით ჩვენს ევროპელ პარტნიორებს, თუ რა რეფორმები ხორციელდება საქართველოს განათლების სისტემაში, დაწყებული სკოლამდელი განათლებით დამთავრებული მეცნიერების რესტრუქტურიზაციით. ძალიან პოზიტიური შეფასებები დაიმსახურა ამ რეფორმებმა, იყო კონკრეტული საუბარი იმაზე, თუ რა დოზით შეიძლება ჩაერთოს ევროგაერთიანება ამ პროექტებში.*

ჩვენი სურვილი იყო, რომ რეგიონალიზმის პრინციპი, რომლითაც დღემდე მუშაობდა ევროგაერთიანება, გადახედილიყო იმიტომ, რომ სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა განვითარების სიჩქარეები არსებობს და, ამდენად, რეგიონალიზაცია გეოგრაფიული პრინციპით, ალბათ, უკვე დრომოჭმულია და უნდა გადავიდეთ თემატურ დაჯგუფებებზე და თემატური პროგრამების განხორციელებაზე. გაცილებით მეტი საერთო შეიძლება ჰქონდეს საქართველოს ცენტრალური ევროპის ქვეყნებთან ან აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან, ვიდრე მეზობელ ქვეყნებთან. შევთანხმდით, რომ გაგრძელდება მუშაობა და განიხილება საკითხი, რომელიც საერთოდ მიდგომების ცვლილებას გულისხმობს.

კარგია კიდევ ერთი ფაქტი, რომ საქართველოში მიმდინარე რეფორმები, რომლებიც განათლების ხარისხს და აღიარების პრინციპებს უკავშირდება, სრულად მხარდაჭერილი იქნა ევროგაერთიანების მიერ და გამოითქვა მზაობა, რომ საექსპერტო და ტექნიკური დახმარება ამ მიმართულებით ფართომასშტაბიანი და ძალიან სერიოზული იქნება. ეს დამაიმედებელია და გვაძლევს იმის საშუალებას, რომ რეალურად მოხდეს სინქრონიზაცია იმ პროცესებისა, რომლებიც მიმდინარეობს საერთო ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში და საქართველოში.

საქართველოს ასოცირება ევროპასთან გულისხმობს ამ პროცესების მაქსიმალურ სინქრონიზაციას. დღეს ჩვენ ძალიან კარგ შედეგს მივაღწიეთ – შევთანხმდით იმ კონკრეტულ ვადებსა და ქმედებებზე, რომელიც ორივე მხარეს აქვს გასაკეთებელი – როგორც საქართველოს, ასევე ევროგაერთიანებას. გამოჩნდა მზადყოფნა ორივე მხარის და ინტერესებისა და იმ დიდი მიზნების თანხვედრა, რომელსაც ისახავს განათლების რესტრუქტურიზაცია და მოდერნიზაცია ჩვენს ქვეყანაში.“

ადამ ტაისონი, ევროკომისიის განათლებისა და კულტურის გენერალური დირექტორატის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი: *„ჩვენ ვისაუბრეთ საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობებზე და თუ როგორ შეიძლება დავეხმაროთ საქართველოს იმ მრავალი რეფორმის განხორციელებაში, რომელიც უკვე დაწყებულია, ეს ეხება სასკოლო განათლებას, უმაღლეს განათლებას, პედაგოგების გადამზადებას. რეფორმები საკმაოდ დინამიურად ხორციელდება და ვისაუბრეთ იმაზეც, რომ საქართველო მიზნობრივ მხარდაჭერას მიიღებს ევროკავშირისგან ამ პროცესების გასაგრძელებლად და საქართველოში განათლებისა და მეცნიერების გასავითარებლად.“*

აკაკის კვირეული დაიწყო

2015 წელს დიდი ქართველი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის აკაკი წერეთლის დაბადებიდან 175 და გარდაცვალებიდან 100 წლისთავი სრულდება. ამ ღირსშესანიშნავ თარიღს, საქართველოს მასშტაბით, თითქმის ყველა საგანმანათლებლო დაწესებულება აღნიშნავს, მათ შორისაა ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სადაც აკაკი წერეთლისადმი მიძღვნილი კვირეული იმართება.

კვირეულის ფარგლებში, გაიხსნა საერთაშორისო კონფერენცია „აკაკი წერეთელი და მისი ეპოქა“, რომელსაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე, თსუ-ს პროფესორები, სტუდენტები და მოწვეული სტუმრები დაესწრნენ. კონფერენცია თსუ-ს რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ გახსნა.

საერთაშორისო სამეცნიერო და სტუდენტური კონფერენციის ფარგლებში, რომელსაც ესწრებოდნენ სტუმრები უკრაინიდან, ლატვიიდან და სხვა ქვეყნებიდან, ასევე, მონაწილეები საქართველოს უნივერსიტეტებიდან, მოეწყო აკაკისადმი მიძღვნილი გამოფენა და წიგნების პრეზენტაცია, გაიმართა ფილმის ჩვენება.

კონფერენციის გახსნამდე მონაწილეებმა თსუ-ს პირველი კორპუსის ეზოში ყვავილებით შეამკეს აკაკი წერეთლის ბიუსტი.

აკაკისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში, სხვადასხვა სტუდენტური ღონისძიება გაიმართება.

თამარ სანიკიძე: *„რა თქმა უნდა, რთული იყო ამ დღეების შემდეგ ცხოვრების ჩვეულ რიტმში დაბრუნება, მაგრამ ნამდვილად გვაქვს ამის მიზეზი – აკაკი წერეთლის იუბილე უდიდესი დღესასწაულია ჩვენთვის. ბედნიერია ის ერი, რომელსაც შეუძლია იამაყოს ისეთი ადამიანებით, პოეტებით, მწერლებით, საზოგადო მოღვაწეებით, პუბლიცისტებით, როგორიც აკაკი წერეთელი იყო. ვფიქრობ, ამ ღონისძიების ფარგლებში, საქართველო კიდევ ბევრ საინტერესო მომენტს შეიტყობს მისი ცხოვრებიდან. წარმატებებს ვუსურვებ კონფერენციის მონაწილეებს.“*

ლადო პაპავა, ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი: *„ადამიანი, პოეტი, საზოგადო მოღვაწე, რომელმაც თავისი შემოქმედებით ქართველ ერს იმედი ჩაუსახა, უკვდავი ლექსები აჩუქა. აკაკი წერეთლის სახელი უკვდავია. მან პოპულარობა ჯერ კიდევ სიცოცხლეში მოიპოვა და ეს პოპულარობა მარადჟამს გაგრძელდება. 175 წელი მისი დაბადებიდან და 100 წელი მისი გარდაცვალებიდან – მნიშვნელოვანი საიუბილეო თარიღებია, მას აღნიშნავს იუნესკო და, რა თქმა უნდა, აღინიშნება მის სამშობლოში – საქართველოში და მის დედა უნივერსიტეტში.“*

მშობელთა კრება

კითხვები ბავშვთა ფსიქოლოგს

დედებს შვილების შესახებ უამრავი კითხვა უჩნდებათ, რომლებსაც ფსიქოლოგი პასუხობს. გთავაზობთ მშობლების რამდენიმე კითხვას:

– ჩემი ბიჭუნა ორი წლისაა, მხიარული, მშვიდი, შეიძლება ითქვას, ნამდვილი განძია. სამსახურში გასვლას არ ვჩქარობ, მაგრამ გარკვეული დრო (დღეში 3 საათი მაინც) ჩემი თავისთვის მჭირდება. დედას თავისი ცხოვრება აქვს, დედამთილს კი, პირიქით, უყვარს ფუსფუსი, თუმცა მიზეზთა გამო მას ბოლომდე ვერ ვენდობი, ამიტომ ბავშვისთვის ძიძის აყვანა გადავწყვიტე. ძალიან გამიმართლა, შესანიშნავი ძიძა ვიპოვე, მაგრამ გაირკვა, რომ ორივე ბებიას სურს ბავშვზე ზრუნვა და მიაჩნიათ, რომ „ოჯახში უცხო ადამიანის შემოშვება საჭირო არ არის“. როგორ მოვიქცე, რომ ნაწყენი არავინ დარჩეს და არც მე დავზარალდე?

– ასეთ ვითარებაში არჩევანის გაკეთება ადვილი არ არის, მაგრამ არც ის არის საჭირო, ეს ვისიმე საამებლად გააკეთოთ. უფროსმა თაობამ საწყენად არ უნდა მიიღოს, მაგრამ ისინი სიყვარულით გვეხმარებიან, ამიტომ უფრო მეტი უფლებით სარგებლობენ, ვიდრე ძიძა, ვისთანაც ურთიერთობა ფულით რეგულირდება. თქვენ ირჩევთ ისეთ ძიძას, რომლის წარმოდგენები ბავშვის მოვლასა და აღზრდაზე თქვენსას ემთხვევა. სხვა შემთხვევაში თქვენ მას სამუშაოზე არ აიყვანთ. ბებიასთან კი ასეთი სვლა არ გაგივათ: მან გაგზარდათ თქვენ (ან თქვენი მეუღლე), ბავშვი თავს ურჩევნია და უკეთ იცის, რა სჭირდება მის შვილიშვილს. სიყვარული უფრო მერყევი მატერიაა, ვიდრე ფული. ამიტომ მისით აპელირება იოლია, ხოლო მასზე დაყრდნობა – ძნელი. იმას არ ვგულისხმობთ, რომ ეჭვი უნდა შეიტანოთ ბებიის (ან ბაბუის) შვილიშვილისადმი სიყვარულში – რა თქმა უნდა, ბავშვი ბებიისთვის ღვიძლია, ძიძისთვის კი – არა, მაგრამ მაინც გირჩევთ, კარგად ანონ-დაწონოთ ყველაფერი. ბევრ დედას მიაჩნია, რომ ბებიები ხშირად არღვევენ ბავშვების კვების წესებს, ანებივრებენ მათ, სკეპტიკურად უყურებენ განმავითარებელ თამაშებს... ბებიის ქცევის შეცვლა შეუძლებელია. ძიძა ერთადერთი გამოსავალია. ცხადია, რაც უფრო მეტი ადამიანის სიყვარულს გრძნობს ბავშვი, მით უფრო ბედნიერია ის. ტაქტიანად აუხსენით ბებიებს, რომ ყოველდღიური მძიმე შრომისთვის ძიძა გჭირდებათ, მათ კი კინოში ან თეატრში წასვლისას დაიხმარებთ. სასხვათაშორისოდ უთხარით ისიც, რომ ბავშვებს ბებიები მაშინ უფრო ძლიერ უყვართ, როცა, მკაცრი მშობლებისგან თავმობეზრებულები, მათთან სტუმრად მიდიან.

– მეორე შვილის დაბადებას შიშით ველოდი, რადგან გამეგონა, რომ უფროსი და-ძმები ეჭვიანობის გამო ტირანულად ექცევიან უმცროსებს. ჩემი ბიჭუნა, გიორგი, მაშინ ოთხი წლის იყო. ჩვენ ბევრს ვსაუბრობდით, ვათვალიერებდით სურათებს, რათა მას სცოდნოდა, როგორ ვითარდება მისი დაიკო, ერთად ვუსმენდით, როგორ მოძრაობდა ის მუცელში, ერთად ველოდით... მსურდა, მარიამის დაბადება სასიხარულო მოვლენა ყოფილიყო მისთვის და ეს შევძელი. გიორგის არ სწყინდა ჩემი „უყურადღებობა“, მეხმარებოდა კიდეც ბავშვის მოვლაში და ელოდა, როდის წამოიზრდებოდა და, რომ დედას მეტი დრო დარჩენოდა მისთვის. ის კი წამოიზარდა და... ნამდვილი ოტელო აღმოჩნდა! როცა მიხვდა, რომ დედისთვის ერთადერთი არ იყო, ძამიკოს ნამდვილი ომი გამოუცხადა. მასთან მისულს დამინახავს თუ არა, ისტერიულ ტირილს იწყებს. ამით გიორგიც იტანჯება და მეც. მენატრება მასთან სიახლოვე, მასზე ზრუნვა...

– სიტუაცია მარტივი არ არის, თუმცა დრო რომ გაივლის, შეიცვლება. იგრძნობა, რომ ემოციურად თქვენ უფროსი შვილის მხარეზე ხართ. როგორც ჩანს, ინტუიციურად ამას ბიჭუნაც გრძნობს. ეცადეთ, ფიზიზლად შეხედოთ იმ მინუსებს, რომლებიც უმცროსი შვილის მდგომარეობას აქვს – ის ვერასოდეს იქნება ერთადერთი, როგორიც იყო ოთხი წლის განმავლობაში გიორგი, ყურადღებას ვერასოდეს დაუთმობთ მხოლოდ მას. პატარამ იცის ეს და აპროტესტებს. მოგიწევთ, ერთხანს – ნახევარი ან ერთი წლის განმავლობაში – დროსა და სივრცეში გამიჯნოთ მათი დაძინების რიტუალები. დაუთმეთ მთელი ყურაღება მარიამს, სანამ არ დაიძინებს, მერე კი გიორგის ჯერი დადგება – მოეფერეთ, წაუკითხეთ, ეთამაშეთ, ხატეთ მასთან ერთად. მიეცით საშუალება იამაყოს, რომ მას აქვს უფლება, უფროსებივით გვიან დაიძინოს. იფიქრეთ იმაზე, რომ საერთო მხიარულების დრო წინ გაქვთ და ის აუცილებლად დადგება.

– ჩემი გოგონა, ელენე, ორი წლის ხდება. როგორც კი თავისი და სხვისი სათამაშოების გარჩევა ისწავლა, მაშინვე შეწყვიტა სხვებისთვის მათი თხოვება. უფრო მეტიც – სხვებს სტაცებდა სათამაშოებს. მინდა, საბავშვო ბაღში მივიყვანო, მაგრამ ვშიშობ, აუცილებლად მოუვა კონფლიქტი – იქ ხომ სათამაშოები საერთოა.

– დაახლოებით სამ წლამდე ბავშვებს არ შეუძლიათ სასურველ ნივთებზე უარის თქმა. ჯანსაღი ბავშვური ეგოცენტრიზმი ნორმალურია. როცა პატარა სამი წლის გახდება, შეეცადეთ, თქვენ თვითონ გასცეთ პასუხი კითხვას: როგორ გესმით სიტყვა „ხელგაშლილობა“? როცა თქვენი შვილი ქვიშაში თამაშობს და უშურველად სჩუქნის პლასტმასის სათლს თუ ნიჩაბს თანატოლს, ეს, ბუნებრივია, გახარებთ, მაგრამ როგორი იქნება თქვენი რეაქცია, როცა გოგონა დაბადების დღეზე ნაჩუქარ თოჯინას ან ველოსიპედს მეორე დღეს მეზობელს აჩუქებს? რას ეტყვით ელენეს, როცა ის შეგახსენებთ, რომ ძუნწი არ უნდა იყოს? აღზარდეთ ბავშვში საკუთრებისადმი სწორი დამოკიდებულება შემდეგი ხერხით: გოგონას უნდა ჰქონდეს ნივთები, რომლებსაც ის თავისი შეხედულებისამებრ განკარგავს. ნაცვლად იმისა, რომ თხოვნისთანავე თავისი სათამაშო სხვა ბავშვს გადაულოცოს, შეეცადეთ, თავის სურვილებში გარკვევა ასწავლოთ. ბავშვს აქვს სრული უფლება, თავისი სათამაშო თავისთვის დაიტოვოს. ამგვარად უკეთ გაიგებთ, რატომ აქვთ სხვა ბავშვებს იმავეს უფლება. მოგვიანებით ის თვითონვე იგრძნობს სიძუნწის უსიამოვნო შედეგებს და შეგნებულად გაანაწილებს თავის მცირე ქონებას, უფრო გვიან კი იმასაც გაიგებს, რომ ადამიანები ზოგჯერ ერთმანეთს საჩუქრებს უძღვნიან და საჩუქრის უკან გამორთმევა არ შეიძლება.

– ჩემი შვილი წლინახევრისაა. ბოლო ხანს ძალიან შეიცვალა. უჭირს თანატოლებთან ურთიერთობა. ვამჩნევ თვისებებს, რომლებიც ძალიან მაშფოთებს. როგორ მოვიქცე? იქნებ ეს ბუნებრივია მისი ასაკისთვის?

– თქვენი პატარა მალე ორი წლის გახდება? მოემზადეთ – მან უკიდურესი ინდივიდუალიზმის პერიოდში შეაბიჯა. ელოდეთ უამრავ უხერხულობას სხვა ბავშვებთან ურთიერთობისას.

მაგალითად, პატარა კატეგორიულ უარს ამბობს, დაუთმოს სათამაშოები თანატოლებს, სამაგიეროდ, ცდილობს, უნებართვოდ დაეპატრონოს სხვისას. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მასში სიძუნწემ გაიღვიძა და მისგან აუცილებლად გამოუსწორებელი ეგოისტი დადგება; უბრალოდ, ასეთია მისი ასაკის თავისებურება. ნუ შეგრცხვებათ მისი საქციელის, ნუ გამოსტაცებთ ხელიდან სათამაშოს, რათა სხვა ბავშვს ათხოვოთ – ამით თქვენს პატარას ძლიერ ტრავმას მიაყენებთ, რაც პროვოცირებას გაუწევს ძილის დარღვევას, არასასიამოვნო და საშიშ ქცევას, ენაბორძიკობას, თითის წოვას... კონფლიქტური სიტუაციები თავიდან რომ აიცილოთ, სეირნობისას ნუ წაიღებთ თან ისეთ ნივთს, რომელიც სხვა ბავშვების ყურადღებას მიიპყრობს და მათ მძაფრ ინტერესს გამოიწვევს. თუ პატარა საბავშვო მოედნისკენ პირადი მინი-ავტომობილით გაემართება, აუცილებლად მოუწევს თანატოლებისგან უსასრულო ხვეწნა-მუდარის მოსმენა: „მათხოვე, რა!“, „ცოტა ხანს დამსვი რა საჭესთან!“ – და წყენისა და ცრემლების საფუძველიც გაჩნდება, ქვიშაში სათამაშო აქსესუარებით კი მშვიდად გაერთობით. დაბადების დღეზე ნაცნობი ბავშვები დაპატიჟეთ? ნუ გადმოალაგებთ მათ თვალწინ ყველა სათამაშოს. უკიდურეს შემთხვევაში, იმათ მაინც, რომლებიც პატარა იუბილარს ყველაზე მეტად უყვარს და უფრთხილდება – თუ საყვარელი დათუნია სხვის ხელში დაინახა, კარგად აღზდილი ბავშვიც კი ისტერიკას მოაწყობს. კიდევ ერთი – ნუ გექნებათ იმედი, რომ პატარებს თოჯინებითა და მანქანებით გაართობთ. ამ ასაკში ერთად თამაში არ გამოუვათ, საუკეთესო შემთხვევაში ყველა თავისთვის განმარტოვდება სათამაშოთი ხელში, უარესში კი ყველაზე ლამაზი სათამაშოსთვის წაეკიდებიან ერთმანეთს. ჯობს, პატარა სტუმრები მოძრავი თამაშით შეიქციოთ, რომელშიც ყველა მიიღებს მონაწილეობას და დაიცავს მარტივ, მათთვის გასაგებ წესებს. მაგალითად, ათამაშეთ მატარებლობანა, რომელშიც „ვაგონები“ ერთმანეთს ჩაებმებიან და სამოგზაუროდ წავლენ, ან, ხელიხელჩაკიდებულები, ერთად ამღერეთ და აცეკვეთ. შესთავაზეთ პატარებს ცხოველების, საყვარელი წიგნისა თუ მულტფილმის გმირების განსახიერება – ეს მათ ძალიან მოეწონებათ, კარგად იმხიარულებენ და დამეგობრდებიან. დანარჩენზე ნუ ინერვიულებთ – 4 წლისთვის პატარა მომწიფდება სხვა ბავშვებთან ერთად სიუჟეტური თამაშებისთვის და ხალისით გაუზიარებს თანატოლებს ყველა ნივთს. ზოგიერთ დედას ძალიან აშფოთებს ქვიშაში თამაშისკენ ან გუბეებში ჭყაპუნისკენ ბავშვების ლტოლვა – პატარა გამოპრანჭული გადის შინიდან, უკან კი ტალახში ამოსვრილი ბრუნდება. ნუ ღელავთ, ბავშვები, რომლებმაც ადრეულ ასაკში გაიარეს „ქვიშის პერიოდი“, ზრდასრულ ასაკში განონასწორებული, ფაქიზი და კარგად აღზრდილი პიროვნებები ხდებიან, ხოლო პატარები, რომლებიც მოკლებულნი იყვნენ ამ სიამოვნებას, ხშირად იტანჯებიან ენურეზით, იძენენ მავნე ჩვევებს, საკუთარ თავში ჩაკეტილ და აგრესიულ ადამიანებად იზრდებიან. ქვიშასა და წყალში თამაში ბავშვებს ლაღი, გულღია ხასიათით აჯილდოებს – ასეთ წუთებში ხომ პატარები ნამდვილ ბედნიერებას განიცდიან.

ნანა კალანდაძე

mkurnali.ge

მასწავლებლის ბიბლიოთეკა

მასწავლებლის სამუშაო რვეული

მასწავლებლის სამუშაო რვეული პორტფოლიოს განუყოფელი ნაწილია. რვეულის სტრუქტურა საშუალებას აძლევს მასწავლებელს:
1. საჭიროებისამებრ შეავსოს გაკვეთილის დაგეგმვის სქემების მოკლე ან სრული ვარიანტები;
2. გაეცნოს გაკვეთილის დაგეგმვის რეკომენდაციებს;
3. გაეცნოს გაკვეთილის მოკლედ და დეტალურად დაგეგმვის ნიმუშებს.

3 ლარი

მნიშვნელოვანი შეკითხვები პასუხებით

საინფორმაციო გზამკვლევი აგებულია კითხვა-პასუხის კონცეფციაზე. მასში განხილულია მნიშვნელოვანი პრაქტიკული საკითხები: სწავლების, შეფასების, კომუნიკაციის, მოტივაციის, სასკოლო კონფლიქტების, სწავლის თეორიების და სასწავლო გარემოს აქტუალურ საკითხებზე. წიგნი დაეხმარება მასწავლებლებს, პედაგოგიური ფაკულტეტის სტუდენტებს.

3 ლარი

დამრიგებლის პორტფოლიო

დამრიგებლის პორტფოლიო საშუალებას აძლევს დამრიგებელს აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმის მეექვსე მუხლით განსაზღვრული საქმიანობები.

გარდა შესავსები სქემებისა და ცხრილებისა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კლასის დამრიგებელს პორტფოლიოს წარმოებაში და დამრიგებლის საქმიანობის განხორციელებაში.

6 ლარი

კათედრის გამგის პორტფოლიო

კათედრის გამგის პორტფოლიო საშუალებას აძლევს კათედრის გამგეს აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საქმიანობები. შესავსები სქემების, ცხრილებისა და კათედრის სხდომის ოქმების გარდა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კათედრის ხელმძღვანელს პორტფოლიოს წარმოებაში და მისი საქმიანობის განხორციელებაში.

6 ლარი

ინტერაქტიური მეთოდების კრებული

კრებულში აღწერილია **ინტერაქტიური სწავლების მეთოდები**; მოცემულია თითოეული მეთოდის გამოყენების ეტაპობრივი აღწერა; განხილულია, რა უნარებს ავითარებს თითოეული მეთოდი; დასახელებულია თითოეული მეთოდის გამოყენების წინაპირობა. კრებულში თავმოყრილია 50-მდე მეთოდის აღწერა.

5.50 ლარი

შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით:
599 88 00 73, 295 80 23

მიმდინარეობს ხელმოწერა

მხატვრული ლიტერატურა

ათეოდორ ფონტანე - **ეფი ბრისტი**
მიგელ დელიბესი - **ორი რომანი**
აჰმედ ჰ. ტანპინარი - **დროის ინსტიტუტი**
ჟან ჟიონო - **ჰუსარი სახურავზე**
ჯოზეფ კონრადი - **ლორდი ჯიმი**
რაფაელ საბატინი - **ღამეული გართობანი**
ისტორიის მიღმა
ერნსტ ჰოფმანი - **სატანის ელექსირები**
ნიკოლაი გოგოლი - **რჩეული მოთხრობები**
ჯონ გოლზუორთი - **რჩეული მოთხრობები**
ვიქტორ ჰიუგო - **პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი**
უ. სომერსეტ მოემი - **ჭრელი საბურველი**
ჯეკ ლონდონი - **დიდი სახლის პატარა დიასახლისი**
ონორე დე ბალზაკი - **მამა გორიო**
ჰენრი რაიდერ ჰაგარდი - **მონტესუმას ასული**
ლევ ტოლსტოი - **კავკასიური მოთხრობები**
ჯონათან სვიფტი - **გულივერის მოგზაურობა**
შოდერლო დე ლაკლო - **სახიფათო კავშირები**
ალექსანდრე პუშკინი - **მოთხრობები**
შტეფან ცვაიგი - **მოუთმენლობა გულისა**
მარგერიტ დიურასი - **საყვარელი ჩრდილოეთ ჩინეთიდან**
პროსპერ მერიმე - **ილელი ვენერა**
გილბერტ კ. ჩესტერტონი - **დონ კიხოტის დაბრუნება**
სტენდალი - **წითელი და შავი**
ჯონ ბრეინი - **გზა ელიტისაკენ**
ალბერტო მორავია - **მოწყენილობა**
ალექსანდრე დიუმა - **კავკასია**
ჯეიმზ ფ. კუპერი - **ჯაშუში**
მაინ რიდი - **კვარტერონი**
ვილჰელმ ჰაუფი - **ლიხტენშტაინი**
თეოდორ დრაიზერი - **დაიკო კერი**
ალბერ კოენი - **დედაჩემი**
გუსტავ ფლობერი - **მადამ ბოვარი**
ემილ ზოლა - **ქალთა ბედნიერება**

თითო ტომის ფასი 14 ლარი

მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები

წიგნი I
ძველი ქართული მწერლობა;
წიგნი II
„ვეფხისტყაოსანი“;
წიგნი III
XIX საუკუნის მწერლობა

თითოეული კრებულის ფასი – 10 ლარი

წიგნი IV
XX საუკუნის მწერლობა

კრებულის ფასი – 12 ლარი

საყვარჯიშო რვეული ქართულ მართლწერაში

თამარ გელიტაშვილი, ამირან გომართელი

9 ლარი

ქართველი მწერლები

1. ვაჟა-ფშაველა (10-ტომეული) I-VI ტომი, – 11 ლარი
2. მიხეილ ჯავახიშვილი (7-ტომეული) II, III, IV, V, VI, VII ტომი – 11 ლარი
3. ლევან გოთუა (7-ტომეული) I-II ტომი – 16 ლარი
4. ედიშერ ყიფიანი (2-ტომეული) I-II ტომი – 15 ლარი
5. კონსტანტინე გამსახურდია (10-ტომეული), I, II, VI, VIII, IX, X ტომი – 16 ლარი
6. რევაზ ინანიშვილი (6-ტომეული) I, II, III, IV, V, VI ტომი – 12 ლარი
7. ვახტანგ ჭელიძე (9-ტომეული) I-VII ტომი –12 ლარი
8. გრიგოლ აბაშიძე (6-ტომეული) I-V ტომი – 12 ლარი
9. ოტია იოსელიანი (10-ტომეული) I-X ტომი – 12 ლარი
10. თამაზ ჭილაძე (6-ტომეული) I-VI ტომი – 10 ლარი
11. გოდერძი ჩოხელი (5-ტომეული) I, III, V ტომი – 13 ლარი

მითითებულია თითო ტომის ფასი



თამაზ ვასაძე

კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი

10 ლარი

ფასი – 15 ლარი

შოთა რუსთაველი ვეფხისტყაოსანი

ბაჩანა ბრეგვაძის პროზაული ვერსია

სერიიდან ინტელექტი სკოლას

საყმაწვილო ენციკლოპედია

თითო ტომის ფასი 12 ლარი

ავტომობილი
ამინდი
სამურაი
უდაბნო
გამოგონებები
განძის ძიება
გლადიატორები
დრო და კალენდარი
ძველი ეგვიპტე
ევროპა
ვიკინგები
ფიზიკა
ქიმია
მეკობრეები
ახსნილი და აუხსნელი ფენომენები
კოშკები და ცათამბჯენები
ხალხთა დიდი გადასახლება
უძველესი ადამიანები
ოლიმპიური თამაშები
კრიმინალისტიკა
მათემატიკა
მეცნიერებები
ძველი რომი
ძველი საბერძნეთი
მთები
ჯანსაღი კვება
არქიტექტურა



რა არის რა

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:

მიმღები – შპს „ახალი განათლება“,
ს/კ 202058735, ა/ა GE93LB0113314052305000,
ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22

ყურადღება! ფიზიკურმა პირებმა, თანხის გადმორიცხვისას, მიუთითეთ პირადი ნომერი

თემატური კლასტერები

დაწყებითი კლასებისთვის

ფორმატი A2 (42X59.4 სმ)

1. წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი
2. წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული
3. ფერები
4. გარეული ცხოველები
5. გარეული ფრინველები
6. პროფესიები
7. რიცხვები
8. შინაური ცხოველები და ფრინველები
9. ჰიგიენის ნივთები
10. საოჯახო ნივთები
11. ტრანსპორტი
12. წყლის ბინადრები
13. რუსული ანბანი

2.50 ლარი

მაღალი კლასებისთვის

ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)

1. რელიგიების წარმოშობა
2. გარეული ფრინველები საქართველოში
3. გარეული ცხოველები საქართველოში
4. მწერები
5. ძვეწარმავლები საქართველოში
6. საქართველოს მცენარეები
7. სამყაროს წარმოშობა
8. ნიადაგი – სიცოცხლის წყარო
9. რეპტილიები და დინოზავრები
10. მსოფლიოს დროშები
11. ზღვის დინებები
12. ძიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა
13. ქართველი მეომრის შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა
14. მსოფლიოს შვიდი საოცრება

4 ლარი

მწერალთა პორტრეტები *(34X47 სმ)*

1. მიხეილ ჯავახიშვილი
2. გიორგი ლეონიძე
3. ირაკლი აბაშიძე
4. ნოდარ დუმბაძე
5. აკაკი წერეთელი
6. კონსტანტინე გამსახურდია
7. პაოლო იაშვილი
8. სულხან-საბა ორბელიანი
9. პოლიკარპე კაკაბაძე
10. გურამ რჩეულიშვილი
11. დავით გურამიშვილი
12. ბესიკი
13. რევაზ ინანიშვილი
14. თეიმურაზ I
15. ვახტანგ VI
16. გიორგი მერჩულე
17. გრიგოლ ორბელიანი
18. დავით აღმაშენებელი

4 ლარი

რეპროდუქციები

1. ჰორაციუსთა ფიცი - ჟაკ-ლუი დავიდი
2. მწყემსთა თაყვანისცემა - დომენიკო გირლანდაიო
3. ადელ ბლოხ-ბაუერის პორტრეტი - გუსტავ კლიმტი
4. მენინები - დიეგო ველასკესი
5. დელფოსელი სიბილა - მიქელანჯელო
6. მხატვრის ბაღი - კლოდ მონე
7. უძღები შვილის დაბრუნება - რემბრანდტი
8. საძანელა - ოგიუსტ რენუარი
9. საკვირაო გასეირნება გრან ჟატის კუნძულზე - ჟორჟ სიორა

6.5 ლარი

მითითებულია ერთი ცალის ფასი

ჩვენ ვქმნით ხელნაწერ „ვეფხისტყაოსანს“

ნიკო ბაგრატიონის სკოლა-ლიცეუმმა აღადგინა „ვეფხისტყაოსნის“ გადაწერის უძველესი ტრადიცია. 2015 წლის აპრილიდან, ხელოვნების გაკვეთილებზე, დაიწყო „ვეფხისტყაოსანზე“ მუშაობა, პედაგოგ ელგუჯა ჩაჩავას ხელმძღვანელობით, ლიცეანტები ეუფლებიან ქართულ კალიგრაფიასა და რუსთაველის შრიფტს, ამასთანავე, ქმნიან წიგნის ილუსტრაციებს.

ვფიქრობთ, ამ მოვლენას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან ლიცეანტებისთვის „ვეფხისტყაოსანი“ ისევ და ისევ ხდება ფიქრის საგანი, მათ უჩნდებათ განსაკუთრებული დამოკიდებულება ქართული სიტყვის, ანბანის, კალიგრაფიის მიმართ, რაც ყოველ ქართველს უნდა ჰქონდეს, განსაკუთრებით, თანამედროვე ეპოქაში, მით უფრო, რომ ქართული ანბანი მსოფლიომ ერთხმად აღიარა ხუთ ულამაზეს დამწერლობათა შორის.

ეს შრომა აუცილებლად გამოიღებს ნაყოფს– დაგვრჩება რუსთაველის პოემის თანამედროვე ხელნაწერი, რომელსაც ახალი თაობა შექმნის, როგორც უწყვეტ კავშირს საკუთარ ფესვებთან და გზას მომავლისკენ.

თინათინ გავაშელი
ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი

ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.axaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,
რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >